ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის [illegible] 1921 წლიდან

16 აპრილი შაბათი 1991
№ 43 (11676)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი

თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი.

ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა", „საქართველოს მოამბემ", „საქართველომ", „მატიანემ" და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში. ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1979 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

1990 წლის ნოემბერში ზვიად გამსახურდია აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა.

14 აპრილს შედგა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა, რომელიც გახსნა მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ ილაპარაკა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა. მან აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ამ თანამდებობის დაუყოვნებლივ შემოღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ამ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავდეს პრეზიდენტი, რომელსაც უდიდესი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა ეკისრება ხალხის წინაშე სახელმწიფოს საქმის ვითარებისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანს, რომელმაც წარმოადგინა კანონპროექტი. პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ილაპარაკა ბატონმა აკაკი ასათიანმა. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო" ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით მან ამ თანამდებობაზე დაასახელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზვიად გამსახურდიას** კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურები არ დაუსახელებიათ. ღია კენჭისყრით უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ავიდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, აღუთქვა დამსწრეთ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

ამის შემდეგ, კანონის თანახმად, სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონპროექტი დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ტარიელ კულულაშვილმა.

უზენაესმა საბჭომ პირველ წაკითხვაში მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონი, რომლის თანახმად 1991 წლის 26 მაისს გაიმართება პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები ფარული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. მიღებულია დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, და მისი სახით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთელ ქართველ ხალხს მიესალმა უნგრეთის პარლამენტის წევრი ტომაშ ტირჩი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისის პრეფექტმა ირაკლი ანდრიაძემ დეპუტატები, სესიაზე მყოფი სტუმრები მიიწვია შოთა რუსთაველის ძეგლისა და კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალის გახსნაზე.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 1991 წლის 26 მაისს.

დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა რევაზ აკაკის ძე გოგოხია საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების გამო რედაქციაში შემოსული მილოცვები და განცხადებები

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ! ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ხალხს დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს აღდგენისათვის 1991 წლის 31 მარტის შედეგებს და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრობა აისახება საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის განვითარების ახალ ისტორიულ ეტაპზე.

სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ტერ-პეტროსიანი

●

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ ამ დღეებში ლიტვიდან მიიღო ასეთი შინაარსის დეპეშა:

ძვირფასო კოლეგებო, ლიტვის თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭო გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ არჩეული გზა ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ქართველი ხალხის კეთილდღეობას. გისურვებთ წარმატებებს ბრძოლის ასპარეზზე.

დეპეშას ხელს აწერს ლიტვის დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე
მარიონას ვისაკავიჩუსი

●

მოძრაობა „თანადგომა" მიესალმება საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის 1991 წლის 9 აპრილის ისტორიულ გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.

ეს გადაწყვეტილება ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმაა და თითოეულ ჩვენგანს ავალდებულებს გაორკეცებული ენერგიით იშრომოს საქართველოს კეთილდღეობისათვის. დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება ეროვნულ ზნეობრივი ტრადიციების აღდგენა და დამკვიდრება. ერთობა და თანადგომა. ეროვნული უზენაესი საბჭოს მხარდაჭერა. ბოლო უნდა მოეღოს არაჯანსაღ ურთიერთდაპირისპირებას არამარტო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ძალებს შორის, არამედ ცალკეულ პიროვნებებს შორისაც. დღეს ქართველი თუ არაქართველი, როგორც ღვიძლი ძმები ისე უნდა დაირაზმოს, საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

„თანადგომა" იზიარებს და სამართლიანად მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნებას და სამაჩაბლოში ოსთა კულტურული ავტონომიის შემდგომ განვითარებას. გვჯერა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს პირობებში უფრო განმტკიცდება აფხაზ და ოს ხალხთან მეგობრობა, მეგობრობა ყველა არაქართველ ხალხთან.

მამულიშვილნო! გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას.

ამირან ნადარაია,
საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის" თავმჯდომარე და მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ბელა კობეშავიძე,
საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის" თანათავმჯდომარე და სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია „ამაღლების" თავმჯდომარე

●

კიდევ ერთი დეპეშა მოვიდა ლიტვიდან საქინფორმის კოლექტივის სახელზე:

სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო, ყველა ჩვენგანისათვის უაღრესად მნიშვნელოვან სასიხარულო მოვლენას — საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას. გისურვებთ გამძლეობას, წარმატებებს ქართველი ხალხის მიერ არჩეულ გზაზე!

მადლობას მოგახსენებთ უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი ცნობებისათვის, შემდგომი ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გვაქვს.

ელტას-ლიტვის დეპეშათა სააგენტოს კოლექტივის სახელით დეპეშას ხელს აწერს მისი დირექტორი ვიდმანტას პუტელისი.

საქართველოს გზა– რუსთაველის გზაა

კაცობრიობამ ბევრი მაგალითი როდი იცის იმისა, რომ პოეტის სახე ასე ჰარმონიულად ერწყმის მის მიერვე შექმნილი გმირის სახეს. ასეთია უიშვიათესი ბედი „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორისა — დიდი „მესხი მელექსისა".

14 აპრილი — ქართული ენის დაცვის დღე მართლაც რომ დღესასწაული იყო. სასწაული იმიტომ, რომ ეს დღე ჩვენ გვაჩუქა ეროვნულმა მოძრაობამ, საქართველოს ახალგაზრდობამ, რომლებმაც ქართული ენის დაცვისა და მისი კონსტიტუციური უფლებების შენარჩუნებებისათვის არნახული თავგანწირვა გამოიჩინეს. სასწაული იმიტომ, რომ ამ დღეს სრულიად საქართველოს პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია. მამულისათვის თავდადებული, მისი თავისუფლებისათვის მარად შემართული და თავგანწირული, რომელსაც ერმა ანდო სამშობლოს ბედი.

...რუსთაველის მოედანი. ზღვა ხალხი შეიკრიბა აქ, რათა მონაწილეობა მიეღო ამ დაუვიწყარ დღესასწაულში, მიელოცა ზვიად გამსახურდიასათვის რესპუბლიკის პრეზიდენტობა.

პირველი სიტყვა ბატონ ზვიად გამსახურდიას ერგო. მან მიმართა შეკრებილთ: გილოცავთ ქართული ენის დაცვის დღეს, 14 აპრილს. როგორც იცით, დღევანდელ დღეს ქართველმა ერმა ხელახლა მოიპოვა თავისი ენა და მისი კონსტიტუციური უფლებები. იმ შავბნელ დროში, როცა ქართული ენა წართმეული იყო, ქართველი ახალგაზრდობა, ეროვნული მოძრაობა, მიუხედავად უდიდესი საფრთხისა, გამოვიდა ამ პროსპექტზე, მოაწყო უდიდესი დემონსტრაცია და გადაარჩინა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი. სწორედ ამ დღეს იხსნება დიდი რუსთაველის ძეგლი, სიმბოლო ქართველი ხალხისა, ქართული ენისა, სიმბოლო ქართული ლიტერატურისა. გილოცავთ რუსთაველის ძეგლის გახსნას, ამიერიდან აწ და მარადის ქართველმა ერმა უნდა იაროს რუსთაველის გზით.

...ჟღერს ჩვენი უკვდავი „მრავალჟამიერი", როგორც დასტური ერის უკვდავებისა, მისი ძლიერებისა, მისი ღირსეული მამულიშვილების უკვდავებისა.

ბატონი ზვიად გამსახურდია ძეგლს საბურველს ხსნის. შეკრებილთა თვალწინ აღიმართა საამაყო რუსთაველის ფიგურა — მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილის განახლებული ძეგლი. არქიტექტორია გივი ჯაფარიძე.

მიკროფონთანაა პოეტი მუხრან მაჭავარიანი.

— ქართველებო, ძვირფასო თბილისელებო, — მიმართა მან შეკრებილთ. — გულითა და სულით გილოცავთ ნანატრ გაზაფხულს, ასრულდა მრავალწლოვანი ნატვრა ქართველი ერისა: დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მას ჰყავს თავისი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. იყო დრო, როცა ამას თავისუფლად ვერც კი ვამბობდით. დღეს კი ვამბობთ: გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს, გილოცავთ დიდი რუსთაველის ძეგლის აღდგენას.

— ამ ზეიმს, — თქვა მწერალმა ამირან კალაძემ, — უერთდება საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი. მათ შორის ჩვენი ქურთი მეგობრები, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს თავისუფლებას. საქართველოს უზენაესი საბჭოს სახელით ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელით, მან დიდი მადლობა მოახსენა ქურთ ხალხს თანადგომისათვის. — ჩვენ ვუცხადებთ ქურთ ხალხს, რომ ქართველი ერი მათ გვერდით დგას და მხარს უჭერს ქურთი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის, გვწამს, რომ იგი გაიმარჯვებს და ქურთ ხალხს ექნება თავისი სახელმწიფო.

— რუსთაველის აღდგენილი ძეგლის გახსნა სიმბოლური აქტია, რადგან იწყება სრულიად საქართველოს აღდგენაც, — განაცხადა კრიტიკოსმა თემურ ქორიძემ. — ეს აღდგენაა რუსთაველის სულისა, „ვეფხისტყაოსნის" სულისა, პარალელურად პოლიტიკური მოძრაობისა იწყება დიდი კულტურულ საგანმანათლებლო მოძრაობა, იწყება აღორძინება ქართული სულისა და ცნობიერებისა. დღეს ამ ძეგლს ხსნის დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი, ჩინებული რუსთველოლოგი ზვიად გამსახურდია. გაუმარჯოს სულიერად აღორძინებულ საქართველოს!

სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი:

— ეს დღე, — ამბობს იგი, — მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ერის ცხოვრებაში. ჩვენ დავიცავით ჩვენი დედა-ენა მაშინ, როცა იმპერიაში თავისუფლების სიოც კი არა ჰქროდა. ეს ბრძოლა რამდენიმე [illegible] მხრებზე გადავიდა. ეს იყო ბალავარი, რომ დაიწყებოდა დიდი მოძრაობა საქართველოს განთავისუფლებისათვის. დღევანდელი დღე — ეროვნული პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ერთხმად არჩევის დღე — შემთხვევით როდი დაემთხვა დედაენის დაცვის დღეს. ბატონი ზვიად გამსახურდია იმას აკეთებდა მაშინაც, როცა არანაირი პირობები არ ჰქონდა. ქართველი კაცი მუდამ იზრდებოდა სამ უზენაეს ღირებულებაზე. ეს იყო საღვთო წერილი, ქართლის ცხოვრება და „ვეფხისტყაოსანი" და ვისაც სწამდა ეს უზენაესი ცნებები, იგი იყო ნამდვილი ქართველი.

...დიდხანს ისმოდა ამ დაუვიწყარი დღისადმი მიძღვნილი სიტყვები, ჟღერდა ქართული მელოდიები. და ყველაფერი ეს აღიქმებოდა, როგორც ჰიმნი რუსთაველის გენიისა, ჩვენი მამულის ხელახალი დაბადებისა, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ხვალინდელი ნათელი დღისა, ერის უკვდავებისა.

მერი ბაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

შეიქმნა საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტი

უკანასკნელ დღეებში რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაამწვავა სსრ კავშირის მთავრობის მიერ საქართველოს ნაწილის, სამაჩაბლოს ოკუპაციამ. მთელს რესპუბლიკაში მშრომელთა ინიციატივით, პროტესტის ნიშნად დაიწყო გაფიცვები და მიტინგები.

საკავშირო დაქვემდებარების დიდ საწარმოებში, მათ შორის პირველ რიგში სატრანსპორტო საწარმოებში, გაფიცვების ორგანიზაციისათვის იქმნება საგაფიცვო კომიტეტები.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში შეიქმნა ეკონომიურად მძიმე მდგომარეობა და საჭიროა თითოეული წარმოებისა და დაწესებულების მშრომელებმა განსაზღვრონ გაფიცვის ფორმები და მისი მიმართულებები, რათა რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მივაყენოთ ჩვენს ეკონომიკას, კონსულტაციების, ცალკეული ორგანიზაციების ძალისხმევის გაერთიანების და მოქმედების ერთიანი ტაქტიკის შემუშავების მიზნით, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტის შექმნის თაობაზე.

საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტი მოთავსებულია საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის შენობაში, მისამართზე: **ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 13, ტელეფონი: 93-27-21.**

საქინფორმი

შიმშილობის აქცია გორში

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის პრესცენტრი იუწყება, რომ ა. წ. 12 აპრილს, შიდა ქართლსა და სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ქ. გორში, ღვთისშვილთა კავშირის რეზიდენციაში, საპროტესტო [illegible]ბა დაიწყო ღვთისშ[illegible]რის ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდმა ელგუჯა კასრაძემ.

საქმე ისაა, რომ სამაჩაბლოში აღარც ინვალიდებს ინდობენ, უკვე მოჰკლეს ერთი ქართველი ინვალიდი, სხვებს კი აიძულებენ დასტოვონ სამკვიდრო...

ღვთისშვილთა კავშირი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში კრემლის იმპერიული ჩარევის წინააღმდეგ, აგრეთვე, სამაჩაბლოში გაეროს მიერ 1975 წლის 9 დეკემბერს მიღებულ „ინვალიდთა უფლებების დეკლარაციის" დებულებათა დარღვევის გამო.

გუშინ, 15 აპრილს, გორის პრეფექტურის სხდომათა დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის რეგიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის, გორის პრეფექტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა საგანგებო შეკრება. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რაც პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ბატონო პრეზიდენტო!

ნება მიბოძეთ, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის სახელით, გულითადად მოგილოცოთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურად არჩევა!

გისურვებთ ამ მღელვარე დროში მედგრად გეპყრათ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს საჭე და რესპუბლიკის ხომალდი მშვიდობიანად მიგეყვანოთ თავისუფლების ნანატრ ნაპირთან!

გვიგულეთ თქვენს გვერდით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის სამართლიან ბრძოლაში!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ქრისტესმიერი სიყვარულითა და კრძალვით

ზაზა სიხარულიძე

იზარდე, მწვანე ჯეჯილო

თბილისში დამთავრდა ბავშვთა და მოზარდთა მუსიკის რესპუბლიკური კვირეული, რომელმაც, კვლავინდებურად, ბევრი ნიჭიერი და იმედისმომცემი ნორჩი მუსიკოს-შემსრულებელი თუ მომღერალი გამოავლინა.

აი, ერთ-ერთი მათგანიც: ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის 11 სამუსიკო სკოლის II კლასის მოსწავლე **ელგუჯა მარღალეიშვილი** (პედაგოგი — ლორენა გიორგაძე). ცხრა წლის მევიოლინის დაკვრამ აღტაცებაში მოიყვანა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შეკრებილი უამრავი მსმენელი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

დიდოსტატ კონსტანტინეს უკვდავსაყოფად

სრულიად საქართველო ამაყობს თავისი სათაყვანო შვილით კონსტანტინე გამსახურდიათი. თბილისს კი, რომელიც აგრერიგად უყვარდა დიდ მწერალს და რომელიც აგრერიგად ამშვენებდა დედაქალაქს. დღესაც ახსოვს მის ქუჩებში კონსტანტინე ბატონი, კაცი ბრძენი და ოსტატი, სამშობლოს ბედზე მარად დაფიქრებული, მისი უმდიდრესი ისტორიის გამაცოცხლებელი და მემატიანე.

და რა საკვირველია, რომ ამ ქალაქში არ იყო მწერლის არც მუზეუმი, არც რაიმე მემორიალური ადგილი... დღეიდან კი იქნება და ეს არის მადლიერი ერის გულისძახილი, რომელიც პატივითა და სიყვარულით იგონებს უკვდავ მწერალსა და მოაზროვნეს, ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსს.

სიმბოლურია, რომ 14 აპრილს ქართული ენის დაცვის დღეს — კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავსაყოფად თბილისში გაიხსნა მემორიალური დაფები.

...გალის ქუჩა, სახლი № 19, ქართველებისათვის ძვირფასი და საყვარელი კოლხური კოშკი. ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბატონი კონსტანტინე, აქ გაიარა მან ბრძოლისა და ტანჯვის გზა, აქ შექმნა თავისი უკვდავი ნაწარმოებები — ეროვნული კულტურის სიმდიდრე და სიამაყე.

— კომუნისტურ ხელისუფლებას, — თქვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, — არც კი უფიქრია მემორიალურ დაფაზე, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, როგორ აფასებდნენ მას. ესეც კმარა იმის საბუთად, რომ იგი ყოველგვარ დისკრიმინაციას განიცდიდა. მემორიალური დაფა იხსნება დამოუკიდებელ საქართველოში, რაზეც ასე ოცნებობდა მწერალი.

— კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი დროის დიდი მწერალი არის და იქნება, — აღნიშნა მუხრან მაჭავარიანმა. — აღსრულდა მისი ოცნება — დღეს საქართველო დამოუკიდებელია. ბატონ კონსტანტინეს აქვს უფლება თქვას — შვილი გავზარდეო, ხოლო ბატონ ზვიადს კი — მამა მყავდაო. კონსტანტინე გამსახურდიამ მთელი თავისი სიცოცხლე, შემოქმედება შესწირა საქართველოს. დარწმუნებული ვარ, მისი სული ხარობს მის საქართველოსთან, მის ხალხთან ერთად.

სიტყვას ამბობს საქართველოს მთავრობის მეთაური თენგიზ სიგუა:

— დღეს პატივს მივაგებთ ბატონ კონსტანტინეს ხსოვნას. კომუნისტურ საქართველოში მას თითქოს აფასებდნენ, მაგრამ ეს მოჩვენებითი დაფასება იყო. მხოლოდ დღეს [illegible] მკზე მემორიალური დაფა. ქართველმა ერმა ღირსეულად დააფასა მისი უკვდავი შვილი და ვულოცავთ ბატონ ზვიადს დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სახელის აღდგენას. ამ ბოლო წლებში ამ ეზოს და ამ სახლს ბევრი თავდასხმა, არასასიამოვნო მოგონებები ჰქონდა. დღეს კი ხარობს კოლხური კოშკი...

მემორიალური დაფის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა კრიტიკოსმა თემურ ქორიძემ.

ბარელიეფის ავტორია მოქანდაკე ოთარ ფარულავა.

●

ამავე დღეს თბილისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე, № 13 სახლის ფასადზე გაიხსნა მემორიალური დაფა, რომლის ავტორია მამუკა პატარქალიშვილი. ამ სახლში 1921-1950 წლებში ცხოვრობდა ჩვენი საუკუნის უდიდესი მწერალი, დიდი მამულიშვილი კონსტანტინე გამსახურდია.

ამიერიდან თბილისელებისათვის, სრულიად საქართველოს ყველა მცხოვრებისათვის ეს მემორიალური ადგილები იქნება ღირსსახსოვარი სიმბოლო მწერლის უკვდავებისა.

საქინფორმი

მიტინგი ერაყელ ქურთთა მხარდასაჭერად

დაუყოვნებლივ შეწყდეს ქურთისტანის მცხოვრებთა გენოციდი — მოითხოვეს სადამ ჰუსეინის რეჟიმისაგან თბილისში 14 აპრილს კინოს სახლთან გამართული მიტინგის მონაწილეებმა.

მიტინგში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი თბილისელი. ერაყელი, თურქი, ირანელი, სირიელი ქურთები, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღეს, ხაზგასმით აღინიშნა მიტინგზე, ქართველი და ქურთი ხალხები იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა იმპერია, რომელმაც ბლოკადა გამოუცხადა საქართველოს, ამით ბლოკადას უცხადებს ქურთებსაც და საქართველოში მცხოვრებ ყველა სხვა ეროვნების ადამიანებს. მაგრამ ჩვენ, ქურთები, მზად ვართ გავიზიაროთ ქართველ ძმებთან ერთად ყველა სიძნელე და ტანჯვა იმ გზაზე, რომ საქართველომ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

მიტინგის მონაწილეებმა რეზოლუცია გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მ. გორბაჩოვს, პლანეტის მთავრობებს და ხალხებს, რომელიც შეიცავს მოწოდებას მსოფლიო გაერთიანებისადმი, ხელი შეუწყონ ქურთისტანის მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტას, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

ნინო თათრუალიძე,
ზურაბ ბრძელიშვილი,
საქინფორმის კორ.

კვლავ ენერგეტიკული კრიზისის საფრთხე

15 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის დიდ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა გადაყვანილია ელექტროენერგიის მოხმარების შეზღუდულ რეჟიმზე. ქარხნებსა და ფაბრიკებში ელექტროენერგიის მიწოდების მოცულობა 50 პროცენტით შემცირდა. მუშაობა შეაჩერა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა. დღე-დღეზე გაჩერდება თბილისის უდიდესი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის აგრეგატები.

„ოღონდაც ნუ დავიღლები ამ ბწკარების წერით“...

ტატო ნინუას ლექსებს როცა კითხულობ, ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი ავტორი მოსწავლეა და მკითხველი სულ ორიოდე წლის წინათ შეხვდა მას ჯერ საქართველოს რადიოთი და შემდეგ ტელევიზიითაც წარსდგა მსმენელთა წინაშე, შემდეგ ნორჩების გაზეთის „ნერგის“ ფურცლებიდან გაესაუბრა იგი თავის თანატოლებს. ეს შეხვედრები ფეხბედნიერი გამოდგა: ტატოს ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ ბიბლიოთეკა „ნობათში“. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ რედაქციამ მკითხველთა წერილები მიიღო. და აი, ამ დღეებში „ნობათმა“ კვლავ შესთავაზა საზოგადოებას ტატო ნინუას ლექსები.

შვიდი წლის იყო ტატო ნინუა, პირველი ლექსი რომ დაწერა, იგი დედას მიუძღვნა, იზრდებოდა ავტორი და ფართოვდებოდა მისი ინტერესების სფერო. მაინც რაზე წერს ნორჩი პოეტი? სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე, ადამიანის ადგილზე ცხოვრებაში, დროზე, ჩვენს სახელოვან წინაპრებზე, საკუთარ მიწა-წყალზე, მის თავისუფლებაზე და ყველაფერ ამას თავის პოეტურ წარმოსახვაში უძებნის საკუთარ ფორმასა და შინაარსს. 9 აპრილს თავისუფლებისათვის დაღუპულ თანამოქალაქეებს მიუძღვნა ლექსი „რუსთაველის რაინდები“, რომელიც წაიკითხა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაღუპულ პატრიოტთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოზე, შემდეგ ეს სულისშემძვრელი რექვიემი აჟღერდა თბილისის სომხურ თეატრში, სამგლოვიარო მესაზე. ტატოს ნიჭმა მოხიბლა თელაველებიც, როცა ლალი მიქავას „მუსიკალურ თეატრთან“ ერთად მან მონაწილეობა მიიღო 9 აპრილისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო საღამოზე თელავის სახელმწიფო თეატრში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირს მერაბ კოსტავას მან არა მარტო ლექსი უძღვნა, არამედ დახატა კიდეც სამშობლოს ერთგული შვილის პორტრეტი. სხვათაშორის „ნობათში“ გამოქვეყნებული ლექსების ჰონორარი ტატომ გადარიცხა მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში. და კიდევ ერთი: იგი არის ინიციატორი თბილისის 1 საშუალო სკოლის წინ აშენდეს 9 აპრილის სახელობის ხეივანი. მანვე მოამზადა ეს წინადადება, დახატა კიდეც თავისი ჩანაფიქრი, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობამ დაუჭირა მხარი, და საქმე დაწყებულია და ალბათ ხორცსაც მალე შეისხამს.

ტატო ნინუა თბილისის 1 საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. ქართულ ენასა და ლიტერატურას დინა გეგენავა ასწავლის, რომელიც ტატოს კეთილი მრჩეველიცაა.

გამომცემლობა „მერანი“ აპირებს გამოსცეს ტატოს ლექსების წიგნი, ასევე ისრაელში გამოვა ქართველ და ებრაელ ახალგაზრდა პოეტთა ლექსების კრებული, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან ეკა ბაქრაძე და ტატო ნინუა. ტატოს ლექსებს დაბეჭდავს ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „ალაზანი“.

...„ოღონდაც ნუ დავიღლები ამ ბწკარების წერით“... — ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში ტატო ნინუა. ნურც დაღლილიყოს პოეზიის ლამაზი ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე ნორჩი პოეტი.

მერი გაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

მერაბ კოსტავას

არ მოკვდა, ღმერთთან
წავიდა,
ძმა არის განაყარია,
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხასისხლიანი ხმალია!

ხალხური

ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცვნია.
მის სუნთქვას ანადევნები
იწვოდი, ვით კელაპტარი,
გულს იმიტომაც გკორტნიდა
გავეშებული აფთარი!
წელზე ვინ უნდა შეირტყას
შენი ნახმარი მურასა,
დროშა ვინ უნდა გაფინოს
თეთრი ჯანღების ქულაზე.
მაცხოვარს ვინ შეგვავედროს
უმხურვალესი ლოცვებით,
ფრესკაზე ვინ დაინახოს
სპეტაკი ფრთები ოცნების.
ფაფარაშლილი ლურჯაი
მხედარს იგლოვს და ჭიხვინებს,
რასაც სიცოცხლე შესწირე.
აწ ის სიზმარში იხილე:
იხილე, ვით დაარწყულა
მტრის სისხლით გორდა
ქართველმა,
იხილე ძველი ტრამალის
ნაკვესი ხმლებით გათელვა!
იხილე სული ქართული,
გულ-მკერდში ვერჩატეული,
იხილე ძერის ნაკორტნი,
მტრის დაფლეთილი სხეული!
იხილე სივრცე ცვრიანი,
მცხეთის ცის აელვარება,
ჯვარი დიდებამოსილი,
მზის ხელისგულით ტარება!
ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცვნია!

ტატო ნინუა

ქრონიკა, ინფორმაცია

ბელორუსია

რესპუბლიკაში გრძელდება საპროტესტო გაფიცვები. როგორც ცნობილია, 3 აპრილს ფასების კატასტროფული მომატების შემდეგ, ზოგიერთი დიდი საწარმოს მუშამოსამსახურეებმა შეწყვიტეს მუშაობა და გაიფიცნენ. მათ წამოაყენეს რამდენიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნა. რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ საპროტესტო აქცია დროებით შეწყდა 10 აპრილამდე. ხელისუფლებამ ივალდებულა ამ ვადაში შეესრულებინა გაფიცულთა ზოგიერთი მოთხოვნა. მაგრამ როგორც უკვე არა ერთხელ მომხდარა, დაპირებების იქით საქმე არ წასულა და 10 აპრილიდან მინსკში კვლავ დაიწყო გაფიცვები და მასობრივი გამოსვლები. გაფიცულებს თითქმის მთელმა ბელორუსიამ დაუჭირა მხარი. აქციას შეუერთდნენ რესპუბლიკის მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების მშრომელები. გაფიცულთა მოთხოვნებს დაემატა კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნა, მათ შორის დღევანდელი უზენაესი საბჭოს დაშლა და ახალი, დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა.

13 აპრილს მინსკში ჩატარდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მ. მიასნიკოვიჩის პრეს-კონფერენცია, სადაც მან განაცხადა, რომ გაფიცულებს მართავენ იატაკქვეშა ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობენ არსებული ხელისუფლების არაკონსტიტუციური მეთოდებით შეცვლას. იგივე აღნიშნა ბელორუსიის კომპარტიის პირველმა მდივანმა, სკკპ პოლიტბიუროს წევრმა ა. მალოფეევმა 13 აპრილს სკკპ პლენუმზე მოხსენებით გამოსვლისას.

კიევი

როგორც ცნობილია, უკრაინის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობიდან დროებით გაათავისუფლეს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატი, უკრაინის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სტეპან ხმარა.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ იგი ისევ დააკავეს. აეროპორტში, საიდანაც ის დონეცკში მიემგზავრებოდა, დაპატიმრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ხმარას შეატყობინეს, რომ უმაღლესმა სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილება მისი განთავისუფლების შესახებ.

ამჯერად ხმარა დააკავეს ლვოვის ოლქში, რამდენიმე არასანქცირებული მიტინგის ჩატარების შემდეგ, სადაც მან რამდენიმე შეურაცხმყოფელი სიტყვა თქვა უკრაინის კომპარტიის ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა მიმართ. დონეცკში კი გაფიცულ მეშახტეებთან შესახვედრად მიფრინავდა.

ერევანი

სომხეთის დედაქალაქში შაბათს, 4 საათზე აიღეს ლენინის ძეგლი. ეს მომენტი დღემდე, მიუხედავად საბჭოთა კავშირში მომხდარი ცვლილებებისა, „ამშვენებდა“ ერევნის ცენტრალურ მოედანს და მოქალაქეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. და აი, როგორც იქნა, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით მოედანი განთავისუფლდა „დიდი ბელადის“ ძეგლისაგან და მშვიდად ამოისუნთქა.

ძეგლის აღებას ესწრებოდა 50 000-ზე მეტი კაცი, დემონტაჟი 2 საათს გაგრძელდა.

●

დღეს ერევანში მუშაობას იწყებს სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სესია. სხვა საკითხებთან ერთად, დეპუტატებმა უნდა განიხილონ კომპარტიის ქონების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შენობის ხალხისათვის გადაცემის საკითხი.

ვლადიმერ ხარიშვილი,
ახალი ამბების სააგენტო „კავკასიონი“.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოები და საკონსულოები საზღვარგარეთ 1918-1921 წ. წ.

არცერთ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტს, არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოსთან სათანადო კონტაქტებისა და ნორმალური ურთიერთობების გარეშე. ყოველი ქვეყანა თავისი საგარეო ფუნქციების განხორციელებისას მიმართავს გარკვეულ ხერხებს და ფორმებს, რომელთა მიზანია საგარეო პოლიტიკის ამოცანის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. სახელმწიფოს ამ სახის საქმიანობას დიპლომატია ეწოდება და იგი უნდა ემორჩილებოდეს გარკვეულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგულირებენ სახელმწიფოების საზღვარგარეთელი წარმომადგენლების წევრთა სამართლებრივ მდგომარეობას, საგარეო ურთიერთობების ორგანოთა სტრუქტურას, კომპეტენციას და ა. შ.

მე-20 საუკუნის ათიანი წლებისათვის მსოფლიოს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში უკვე საკმაოდ მტკიცედაა დაცული საერთაშორისო სამართლის ის ნორმები, რომლებიც იმ დროისთვის იყო მიღებული. შექმნილია მთელი რიგი სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო სამართლის დარგში (მაგ. ფ. მარტენსი „ცივილიზებული ხალხების საერთაშორისო სამართალი" სანკტ-პეტერბურგი, 1907 წ; ფ. ლისტი „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი" დერპტ-იურიევი. 1912 წ. და სხვ.). ამ ნაშრომებში გაანალიზებულია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები, განხილულია საერთაშორისო ხელშეკრულებები, საგარეო ურთიერთობათა შიგასახელმწიფოებრივი და საზღვარგარეთული ორგანოები, ამ ორგანოების საქმიანობა, კომპეტენცია და სხვა. აღნიშნულია, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფო და როგორ ხდება ახალ სახელმწიფოთა „დაბადება", როგორი უნდა იყოს მათი პირველი ნაბიჯები საერთაშორისო ასპარეზზე. იურიდიული მეცნიერების ეს დარგი ისწავლებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებშიც, გამოდიოდა ამ დარგის სპეციალური ჟურნალები და უამრავი ლიტერატურა. ყოველივე ზემოთ ნათქვამი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, როცა ქმნიდნენ ახალ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, კარგად იცოდნენ საერთაშორისო სამართლის და სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრინციპები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებულ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მმართველობის სისტემის გარდაქმნა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებათა სტრუქტურის შეცვლა უფრო ადვილად მოსაგვარებელი იყო, ვიდრე სრულიად ახალი, მანამდე არარსებული უწყებების შექმნა. ასეთებს მიეკუთვნებოდა პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) საგარეო საქმეთა კომისია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური დაწესებულებები საზღვარგარეთ და ა. შ. ამ საკითხების გადაჭრის დროს უამრავი სიძნელისა და პრობლემების გადალახვა უხდებოდათ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს, მაგრამ მათ მაინც წარმატებით შეძლეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ორგანოების ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განმტკიცება.

1918 წლის 26 მაისს „დამოუკიდებლობის აქტის" გამოცხადებისთანავე შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა აკაკი ჩხენკელი (1918 წლის ნოემბრიდან — ევგენი გეგეჭკორი). საგარეო საქმეთა უწყება ძირითადი შიგასახელმწიფოებრივი დაწესებულება იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა დარგში. იგი მთავრობის სახელით აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, დებდა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო, სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე. სამინისტროს პირადი შემადგენლობა არ აღემატებოდა 50 თანამშრომელს, ხოლო მისი სტრუქტურა და შტატები ასეთი იყო:

საგარეო საქმეთა მინისტრი; სამინისტროს დირექტორი, ვიცე-დირექტორი, იურისკონსულტი, მინისტრის მდივანი.

პირადი განყოფილება: მინისტრის პირადი განყოფილების გამგე, საქმის მწარმოებელი, მემანქანე;

პოლიტიკური განყოფილება: განყოფილების გამგე, ევროპული სექციის გამგე, აზიური სექციის გამგე, ამავე სექციების საქმისმწარმოებლები, კანცელარიები და თარჯიმნები;

საერთო განყოფილება: გამგე, საქმისმწარმოებელი და მისი თანაშემწე, კანცელარია;

საინფორმაციო ბიურო: გამგე, საქმისმწარმოებელი, კანცელარია და თარჯიმნები;

სამინისტროს სტრუქტურაში შედიოდა აგრეთვე დიპლომატიური და სამეურნეო განყოფილებები, აგრეთვე ცალკეული თანამდებობები: ბუხჰალტერი, მისი თანაშემწე, რეგისტრატორი, ჟურნალისტი, დიპლომატიური კურიერები (შიკრიკები); სამინისტრო ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წინაშე, რომელიც ისმენდა საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიშს, განაპირობებდა ძირითად მიმართულებებს საგარეო ურთიერთობის საკითხებში, ამტკიცებდა (რატიფიცირებდა) უკვე ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, იღებდა დეკრეტებს, კანონებს და დადგენილებებს, რომლებიც საგარეო საქმეთა უწყებას შეეხებოდა, ისმენდა დიპლომატიური წარმომადგენლების ანგარიშებს.

პარლამენტში შექმნილი იყო საგარეო საქმეთა კომისია (თავმჯდომარე — კონსტანტინე საბახტარიშვილი, შემდგომ მინისტრის მოადგილე). კომისია იხილავდა და აანალიზებდა საგარეო ურთიერთობის საკითხებს, შესაბამისი კანონებისა და დეკრეტების, დადგენილებების პროექტებს, ხელშეკრულების ტექსტებს, ისმენდა დიპლომატიური შიკრიკების ინფორმაციებს, ზრუნავდა უცხოეთში მყოფ ქართველთა მდგომარეობაზე და მათ სამშობლოში დაბრუნებაზე, თავის აზრს გამოთქვამდა საელჩოებისა და საკონსულოების მუშაობაზე, მათ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ და ყოველივე ამას წარადგენდა პარლამენტის სხდომებზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა უცხოეთის ქვეყნებთან კავშირები ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსების და ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო-ეკონომიკური აგენტების მეშვეობით და საქართველოს რკინიგზების სამმართველოს სარკინიგზო წარმომადგენლებით, რომლებიც უშუალოდ საელჩოების სტრუქტურაში შედიოდნენ (ერევანში და ბაქოში).

ასეთი იყო ძირითადად საქართველოს საგარეო კავშირურთიერთობების შიგასახელმწიფოებრივი ორგანოები. რაც შეეხება საზღვარგარეთულ ორგანოებს, მათ მიეკუთვნებოდა დიპლომატიური წარმომადგენლები (მისიები, საელჩოები) და საკონსულოები.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობები (საელჩოები, მისიები) საზღვარგარეთ

როგორც ცნობილია, სულ რაღაც 2 წლისა და 9 თვის განმავლობაში საქართველო ოფიციალურად (დე-ფაქტოდ და დე-იურედ) აღიარა იმ დროინდელ მსოფლიოში არსებული 40 სახელმწიფოდან 25-ზე მეტმა, რაც ქართული დიპლომატიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს (შედარებისათვის — 1922 წლის დამლევისათვის საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად მხოლოდ ცხრა ქვეყანამ აღიარა). თუ ქრონოლოგიურად დავალაგებთ ამ პროცესს, ასეთ სურათს მივიღებთ: 1918 წელი — საქართველო აღიარა გერმანიამ, თურქეთმა, ავსტრო-უნგრეთმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა — დე-ფაქტოდ; 1919 წელი — არგენტინამ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა — დე-იურედ; დანიამ, შვეციამ — დე-ფაქტოდ; 1920 წელი — ინგლისმა, საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იტალიამ, იაპონიამ, ლიბერიამ, სპარსეთმა, ესპანეთმა, ნიდერლანდებმა, შვეიცარიამ, საბერძნეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, თურქეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, ფინეთმა, უკრაინის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ — დე-ფაქტოდ; საბჭოთა რუსეთმა — დე-იურედ. 1921 წლის იანვარი — ამერიკამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, სპარსეთმა, შვეიცარიამ, შვეციამ და სხვებმა — დე-იურედ *.

ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან საჭირო გახდა საგარეო ურთიერთობების დამყარება და ამ მიზნით არსდებოდა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები. დიპლომატიურ წარმომადგენლობებს მიეკუთვნებოდა საელჩოები, მისიები და საინფორმაციო-პოლიტიკური ბიუროები. მუდმივი, პირველი კლასის დიპლომატიური წარმომადგენლობები საელჩოები საზღვარგარეთ — განსაკუთრებული სახის დაწესებულებები იყო, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მოცემულ სახელმწიფოსთან ოფიციალური, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება, აგრეთვე ამ სახელმწიფოში მყოფი ქართველი მოქალაქეების და სხვა იურიდიული პირების (დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების) უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ამ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების შესახებ ცნობების შეგროვება და საქართველოს მთავრობისათვის მოწოდება. ისინი უფლებამოსილნი იყვნენ შეესრულებინათ საკონსულოს ფუნქციებიც. დიპლომატიური წარმომადგენლები (ელჩები, დესპანები და მისიის მეთაურები) ინიშნებოდნენ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით — მათ კანდიდატურებს წარადგენდა საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ყველაზე მთავარი სიძნელე, რომელიც წინ ეღობებოდა საქართველოს მთავრობას და მის სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთში, იყო ის, რომ საზღვარგარეთ არამარტო რიგით მოქალაქეებს, არამედ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი საკმაო ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე და მის ისტორიაზე, თანამედროვე მდგომარეობაზე. ამას აღნიშნავდა ნოე ჟორდანიასადმი მიწერილ წერილში პარიზიდან საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრი კონსტანტინე გვარჯალაძე: „ევროპაში ძლიერ ცოტათი გვიცნობენ. ევროპამ რომ ჩვენ კარად გაგვიცნოს, საჭიროა აუარებელი შრომა და ხარჯი. წარმოიდგინეთ, პოლონეთი და რუმინეთიც კი, რომელთაც ერთი შეხედვით ყველა იცნობს, მილიონობით ხარჯავენ აქ ბროშურების, წიგნების და გაზეთების გავრცელებაში. დელეგაციის აზრით, ძლიერ კარგი და სასარგებლო იქნება, რომ მოგვაწოდებდეთ მანდედან პატარ-პატარა წიგნაკებს და ბროშურებს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ მდგომარეობაზე, ჩვენ აქ გადავთარგმნით და დავბეჭდავთ სხვადასხვა ენებზე. ეს აუცილებლად საჭიროა, რათა მსოფლიომ გაგვიცნოს" (ცსსა ფონდი, 1864. აღწ. 1. საქმე 113, ფ. 7). ამ ამოცანის გადასაჭრელად მიღებულ იქნა ზომები და უკვე 1919 წლისათვის ბაქოში საქართველოს საელჩოს ეგიდით გამოსვლა დაიწყო რუსულმა და ინგლისურმა გაზეთმა, ხოლო თბილისში — ინგლისურმა და ფრანგულმა. გარდა ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო „მოელაპარაკა ევროპის და რუსეთის უმთავრეს პუნქტებში ცნობილი გაზეთების რედაქციებს და ისინი უკვე შეუდგნენ საქართველოს სასარგებლოდ სიმართლის პროპაგანდას" (ცსსა. ფონდი 1833, აღწ. 1. შენ. ერთ. 234, ფ. 4-6).

გარდა ამისა, საელჩოს პერსონალის შესანახად, შენობის დასაქირავებლად, ტელეფონის, ჟურნალ-გაზეთებისათვის და ავტომობილებისათვის დიდი ხარჯები იყო საჭირო უცხოური ვალუტით. არქივში დაცული დოკუმენტებით ვრწმუნდებით, თუ რა სირთულეებით იყო აღსავსე საქართველოს საელჩოების ყოველდღიური ცხოვრება. უჭირდათ ყველაფერში — ინფლაციის პირობებში ხელფასის ქრონიკული უქმარისობა, ცუდი მომარაგება საჭირო ნივთებით, ნახევრადშიმშილობა, სამშობლოდან დაშორება და სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის ხშირი დარღვევა, დიპლომატიური იმუნიტეტის უხეში დარღვევა სხვადასხვა სახელმწიფოებში და აქედან გამომდინარე რეპრესიები, ციხეები და საპყრობილეები... მიუხედავად ამისა, საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს სამშობლოს პრესტიჟის და ავტორიტეტის დაცვისათვის ზრუნვა უპირველეს და უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდათ და ამ პრინციპებისთვის არასოდეს არ უღალატიათ. ასე იყო საბჭოთა რუსეთში 1919 წლის იანვარში, როცა მოსკოვის ჩეკამ ლიტვინოვის * თხოვნით დააპატიმრა საქართველოს საელჩოს თითქმის მთელი შემადგენლობა ელჩის გაბრიელ ხუნდაძის ჩათვლით და ბუტირკის ციხეში მოათავსა, ასე იყო 1920 წლის მაისში ბაქოში, როცა ქართველი დიპლომატები ელჩთან — გრიგოლ ალშიბაიასთან ერთად ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ბაილოვის საპყრობილეში ჩაყარეს და უდიდეს დამცირებას განიცდიდნენ, ასე იყო ერევანშიც 1920 წლის დეკემბერში, როცა საელჩოს სამხედრო ატაშე და სხვა მუშაკები შიგაპატიმრობაში აიყვანეს ბოლშევიკებმა... არბევდნენ საკონსულოებს კიევში, ოდესაში, ვლადიკავკაზში.

1918-1921 წლების ქართველი დიპლომატები უცხოეთის ქვეყნებში იყვნენ: **აკაკი ჩხენკელი** — საქართველოს სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში), საელჩოს ადგილსამყოფელი ქ. პარიზი; **ვლადიმერ ახმეტელაშვილი** — საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში. ქ. ბერლინში; **ალექსანდრე ხუმბათაშვილი** — დიპლომატიური წარმომადგენელი შვეიცარიაში — ქ. ბერნში; **სიდამონ ერისთავი** — ელჩი პოლონეთში; **გაბრიელ ხუნდაძე** — საქართველოს ელჩი საბჭოთა რუსეთში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში; **გრიგოლ ალშიბაია** — ელჩი აზერბაიჯანში, 1920 წლის ოქტომბრამდე; **სიმონ მდივანი** — საქართველოს დროებითი რწმუნებული სომხეთში 1918 წლის დეკემბრის შუახანებამდე, ხოლო 1921 წლიდან — ელჩი თურქეთში; **გერასიმე მახარაძე** — საქართველოს სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი რსფსრ-ში 1920 წლის ოქტომბრიდან; **მიხეილ წერეთელი** — დიპლომატიური წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში — ქ. სტოკჰოლმი; **დავით ღამბაშიძე** — საქართველოს წარმომადგენელი ამერიკაში; **ვიქტორ თევზაია** — ელჩი უკრაინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლამდე; **ი. როსტომაშვილი** — საქართველოს მთავრობის დროებითი რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში და იაპონიაში; **ზურაბ ავალიშვილი** — ცნობილი ქართველი დიპლომატი, ევროპაში სამთავრობო დელეგაციების მუდმივი წევრი, საერთაშორისო სამართლის დიდი სპეციალისტი.

საინტერესო იქნება გავეცნოთ საქართველოს საელჩოების სტრუქტურას, შტატებს და ხარჯთაღრიცხვას საზღვარგარეთ. მაგალითისათვის ავიღოთ საელჩო ბაქოში 1920 წლის დეკემბრის მდგომარეობით (როგორც აღვნიშნეთ, 1919 [illegible] 1920 წლის ნოემბრამდე აქ ელჩად მუშაობდა გრიგოლ [illegible] დეკემბერში დაინიშნა გაბრიელ ხუნდაძე):

1. **დიპლომატიური წარმომადგენელი (ელჩი, მისიის მეთაური) — გაბრიელ ხუნდაძე;**
2. **საელჩოს პირველი მრჩეველი — მიხეილ ჩოჩია;**
3. **საელჩოს მეორე მრჩეველი — პეტრე ჩინიჯიშვილი;**
4. **საელჩოს პირველი მდივანი — ვლადიმერ ჯაფარიძე;**
5. **საელჩოს მეორე მდივანი — გიორგი ლიაძე;**
6. **უფროსი საქმეთა მმართველი — დარისპან მამარდაშვილი;**
7. საკონსულო განყოფილების გამგე — ლევან თუმანიშვილი;
8. საქართველოს მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დამცავი განყოფილების * გამგე — ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა საელჩოს მეორე მრჩეველი შეთავსებით;
9. საინფორმაციო განყოფილების გამგე — ინიშნება საელჩოს I მდივანი შეთავსებით;
10. უცხოეთის განყოფილების გამგე — ანანია ემელიანოვი;
11. კომერციული განყოფილების გამგე — მიხეილ გერმანოვიჩი;
12. რეგისტრატორი — დავით რუხაძე;
13. უმცროსი საქმისმწარმოებელი (განაგებს საშვებს)—ნიკოლოზ ლალიძე;
14. უმცროსი საქმისმწარმოებელი (განაგებს პასპორტებს) — პლატონ თავართქილაძე,
15. ხაზინადარი — შაქრო ჯაფარიძე;
16. სამეურნეო ნაწილის გამგე — ანდრეი თუმანიშვილი;
17. სამხედრო ატაშე — გენერალი ა. რ. ნაცვლიშვილი;
18. სამხედრო ატაშის თანაშემწე — პოლკოვნიკი ვიქტორი ინწკირველი;
19. განსაკუთრებულ დავალებათა მუშაკი (I) — ნიკოლოზ გვარამაძე;
20. განსაკუთრებულ დავალებათა მუშაკი (II) — ილია გუგუშვილი;
21. დიპლომატიური კურიერი (შიკრიკი) — თევდორე რუხაძე;
22. დიპლომატიური კურიერი — ალექსანდრე ზამთარაძე;
23. საელჩოს კომენდანტი — ივანე სურგულაძე;
24. საელჩოს ექიმი — ვლადიმერ თურქია;
25. მდივან-მემანქანე — ნინა ეგიპკინა;
26. მდივან-მემანქანე — ნინა ავილოვა;
27. ავტომანქანა „ბენც" № 31480-ის მძღოლი — გაბრიელ ნამგალაური;
28. მეეზოვე (დამლაგებელი) — ალა-ვერდი ოღლი შახვერდიევი (ადგ. მცხოვრები);

საელჩოს თანამშრომლებად ითვლებოდნენ აგრეთვე:

1. **საელჩოს უცხოეთის განყოფილებაში საბერძნეთის სამეფოს ინტერესების დამცველი* — პოლიქრონ ჩუმაზიდი;**
2. **საქართველოს რესპუბლიკის გზებზე მიმოსვლის დეპარტამენტის წარმომადგენელი აზერბაიჯანში — იასონ კალოიანი;**
3. **საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზების სამმართველოს ვაგონების ინსპექტორი — გრიგოლ სურგულაძე;**
4. **მისი თანაშემწე — სილიბისტრო გაგუა;**
5. **კონვენციური აგენტი — ივანე კონტრიძე.**

დაახლოებით ასეთივე სტრუქტურა და შტატები ჰქონდა საქართველოს საელჩოებს ერევანში და მოსკოვში (1920 წლის ოქტომბრიდან); რაც შეეხება ევროპის სახელმწიფოების დედაქალაქებში არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, აქ მათი პირადი შემადგენლობა შეზღუდული იყო ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებით (ვალუტის უქონლობით). მაგალითად, პარიზში არსებული საელჩოს შტატები ასეთი იყო: **დიპლომატიური წარმომადგენელი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, საინფორმაციო განყოფილების გამგე, მისი თანაშემწე, საქმეთა მმართველი, მანქანით გადამწერი, მსახური.** ასეთივე შემადგენლობა ჰქონდათ საქართველოს საელჩოებს კონსტანტინეპოლში (თურქეთი), ბერლინში (გერმანია) და სხვაგან. საელჩოს ემსახურებოდა ავტომანქანა, იწერდნენ მრავალ ჟურნალ-გაზეთს, ხოლო საინფორმაციო განყოფილება გამოსცემდა ბიულეტენებს და მცირე ზომის წიგნებს პროპაგანდა აგიტაციისათვის, რასაც დიდი ხარჯი ჰქონდებოდა. ამისათვის საქართველოს მთავრობამ 1919-1920 წლის ბიუჯეტიდან თითქმის 13 მილიონი მანეთი გამოჰყო*, ხოლო 1921 წლის იანვარში — დამატებით 2 მილიონამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის საკონსულოები

1918 წლისათვის საერთაშორისო სამართლის აქტებით კონსულად ითვლებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მუდმივ წარმომადგენლად დანიშნული პირი მეორე სახელმწიფოში სხვადასხვა სამეურნეო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად. აღიარებული იყო კონსულების ოთხი კლასი: **გენერალური კონსული, კონსული, ვიცე-კონსული და საკონსულო აგენტი. გენერალური კონსული** — ესაა იმ საკონსულო ოლქის უფროსი, რომელზედაც ვრცელდება მისი კომპეტენცია, მას ექვემდებარება ყველა ადგილობრივი კონსული და ვიცე-კონსული. **კონსული** — მოცემული კონკრეტული ადგილის (ქალაქი, პორტი) საკონსულო საქმეების გამგებელია, **ვიცე კონსულები** — მათი თანაშემწეებია და **საკონსულო აგენტები** კი ინიშნებიან ცალკეულ, დაშორებულ ადგილებში კონსულის ფუნქციების შესასრულებლად (ხშირად დროებით).

საქართველოს საკონსულოების მოვალეობები იყო: **ა) საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო, სავაჭრო, ეკონომიკური ინტერესების დაცვა; ბ) საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა; გ) ხელისუფლების ორგანოს ფუნქციის შესრულება დოკუმენტების და მოწმობების გაცემა, ქორწინების აქტების გაფორმება, თანამემამულეთა ოჯახებზე ზრუნვა, ნოტარიუსების მოვალეობის შესრულება და სხვა. საქართველოს ზოგიერთი საკონსულო ხშირად დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებსაც ასრულებდა (მაგ: რომში), ე. ი. ამ დროს კონსულები დიპლომატიურ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, რა თქმა უნდა, მათ შესაბამისი რწმუნებები გააჩნდათ.**

საქართველოს საკონსულოების სისტემაში კონსულების ოთხივე კლასი მოქმედებდა. გენერალური საკონსულოები მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში — ვლადიკავკაზში და სტავროპოლში, ოდესაში, ბაქოში, საკონსულოები ხარკოვში, ეკატერინოდარში (კრასნოდარში), ერევანში, პეტროგრადში, კონსტანტინეპოლსა და რომში; ვიცე-კონსულები — არმავირში, ნოვოროსიისკში; საკონსულო აგენტები კი აღსტაფაში (შემდგომ განჯაში), ალექსანდროპოლში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთელი რიგი საელჩოების სტრუქტურაში შედიოდა საკონსულო განყოფილებებიც, ამიტომ იქ, სადაც ასე იყო, საკონსულო უქმდებოდა (ბაქოში 1920 წ. დეკემბერში).

საქართველოს კონსულების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას შეადგენდა მოქალაქეთა უფლებების დაცვა, მათთვის დახმარების გაწევა, ტყვეობიდან გამოხსნა და სამშობლოში დაბრუნება. მაგალითად: ოდესის გენერალურმა საკონსულომ 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის სექტემბრამდე სამშობლოში გადმოიყვანა I მსოფლიო ომის დროს ტყვეობიდან გამოხსნილი 8281 ქართველი, ყოველნაირად ზრუნავდა მათი მდგომარეობის შემსუბუქებაზე. ასევე დიდად ეხმარებოდა უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებსაც, როცა ბოლშევიკთა შემოსვლის შემდეგ ოდესიდან საფრანგეთის, ინგლისის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების კონსულები წავიდნენ, მათ თავიანთ მოქალაქეებზე ზრუნვა საქართველოს წარმომადგენელს სთხოვეს. გენერალურმა კონსულმა ე. ი. უშვერიძემ თხოვნა იმდენად ზედმიწევნით კარგად შეასრულა, რომ მან პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მადლობის ბარათიც მიიღო.*

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში, როგორც ცნობილია, მრავალი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც სამოქალაქო ომის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. ხშირად იყო თავდასხმები და ბანდიტების თარეში. აქ 1919 წელს, ვლადიკავკაზში შეიქმნა ჯერ საკონსულო, შემდეგ კი, 1921 წლისათვის — გენერალური საკონსულო, რომლის კომპეტენციაში შედიოდა დაღესტნისა და თერგის ოლქები. 1921 წლის იანვრის ბოლოს დაარსდა გენერალური საკონსულო ყუბანის ოლქში, სტავროპოლის და შავი ზღვის გუბერნიების ჩათვლით, დონის ოლქში.

რაც შეეხება საკონსულოების შტატებს, ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად ფუნქციონირებდა იგი. ყოფილი რუსეთის იმპერიის ქალაქებში მათი პერსონალის რიცხვი საერთაშორისო დონეს უტოლდებოდა, ევროპის და აზიის ქვეყნებში და შეზღუდული იყო (გავიხსენოთ საელჩოების შემთხვევა), მაგალითად, საკონსულო რომში.

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის კონსულების მოვალეობას ასრულებდნენ: **ე. ი. უშვერიძე — გენერალური კონსული ოდესაში; ლევან თუმანიშვილი — გენერალური კონსული ბაქოში; ალექსანდრე ჩერქეზიშვილი — კონსული პეტროგრადში; ირ. ფანჩულიძე — გენერალური კონსული ვლადიკავკაზში; ს. ი. პაიჭაძე — გენერალური კონსული სტავროპოლში; გიორგობიანი — ვიცე კონსული არმავირში; ჩიქოვანი — როსტოვში; ხინთიბიძე — ეკატერინოდარში, კერესელიძე — საკონსულო აგენტი ქ. ნოვოროსიისკში; გრიგოლ ძნელაძე — საკონსულო აგენტი აღსტაფაში და სხვა.**

ასეთია ზოგადად საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულოების სტრუქტურა, ფუნქციები და საქმიანობა 1918-21 წლებში. თანამედროვე პირობებში კი, როცა საქართველო იბრძვის დამოუკიდებლობის აღსადგენად, კარგი იქნებოდა ამ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის გაზიარება მომავლისათვის. ამ მიზნით მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება: საქართველო აქედანვე, გარდამავალ პერიოდშივე უნდა შეეცადოს სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის გაზიარება მომავლისაბის დამყარებას, არამედ საჭიროა დაიდოს პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებები. თუ ეს ევროპის, აზიის ქვეყნების მთავრობებთან არ მოხერხდება, მაშინ უნდა ვეცადოთ იმპერიიდან უახლოეს ხანში გამსვლელ რესპუბლიკებთან მაინც (ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან). ამ ხელშეკრულებებში ერთ-ერთ მუხლად აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება საელჩო-საკონსულოების დონეზე. ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს ევროპის მოწინავე სახელმწიფოები აუცილებლად ოფიციალურად აღიარებენ (ამაზე არსებობს აშშ-ს, საფრანგეთის და ინგლისის განცხადება). აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკას საშუალება ექნება საგარეო ასპარეზზე უფრო გაბედულად მოქმედებისა — ჩვენ ხომ უკვე შესაძლებლობა გვექნება საელჩოების დაარსებისა ამ რესპუბლიკებში. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა უკვე გახსნეს დანიაში და ფინეთში საინფორმაციო-პოლიტიკური ბიუროები, ხოლო გერმანიაში ამ ქვეყნების მთავრობების ნებართვით — სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობები.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის გადაცემას. თუმცა დღეს 1918 წლის ვითარება აღარაა, მაგრამ ინფორმაციის საკითხში მდგომარეობა ძირითადად არ შეცვლილა. ერთი ინგლისური გაზეთი, რომელიც ამჟამად იბეჭდება, საქმეს არ შველის.

ცნობილია, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნების ხელმძღვანელთა პირადი დამოკიდებულება და კონტაქტები. ეს შანსიც არ უნდა გავუშვათ ხელიდან და უნდა გამოვიყენოთ, რა თქმა უნდა, ზედმიწევნით ფრთხილად და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით.

შეიძლებოდა კიდევ მსჯელობა ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ, ვფიქრობ, სპეციალისტები ჩემზე უკეთ გაითვალისწინებენ ამ არგუმენტებს და პირველი ნაბიჯებიც გადაიდგმება დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის.

სიმონ კილაძე,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

---

* ფაქტობრივად და იურიდიულად აღიარება ოფიციალურად ცნობის სახეებია. ფაქტობრივად ცნობის დროს სახელმწიფოთა ურთიერთობა ერთგვარად შეზღუდულია, დიპლომატიური წარმომადგენლები ან არ არსებობს, ან დაბალი კლასითაა წარმოდგენილი (უმთავრესად პოლიტიკურ-საინფორმაციო სააგენტოებით ან მათ მოვალეობას ასრულებენ საკონსულოები), ხოლო იურიდიულად აღიარებისას სახელმწიფოთა შორის იდება სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებები, ფართოდ ვითარდება კავშირურთიერთობა, დიპლომატიური წარმომადგენლები უმაღლესი კლასისაა (საელჩოები, მისიები).

* ლიტვინოვი — რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე.

* 1921 წლის იანვარში გარდაიქმნა იურიდიულ განყოფილებად.

* ბაქოში საქართველოს საელჩოს ჰქონდა შესაბამისი რწმუნებები, რათა დაეცვა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის მოქალაქეთა ინტერესები, ვინაიდან გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანიდან უცხოეთის მისიების ევაკუაცია მოხდა.

* იხ. დეკრეტი № 254 ცსსა. ფონდი 1867, აღწ. 2, საქმე 17.

* იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 17/1-19[illegible] წელი.

შედგებოდა მხოლოდ სამი თანამშრომლისგან: კონსულის, მდივნის და მსახურისაგან, ასეთივე იყო სტამბულში არსებული საქართველოს საკონსულოს შტატებიც.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

გამოხმაურება

ისევ გამოცდები

რომელ თვალსაზრისს დავუჭერდი მხარს, ჩემი შვილი რომ აბარებდეს წელს მისაღებ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში? რაკი ეს კითხვა ყველაზე გულწრფელია, გულწრფელადვე მოგახსენებთ: მხარს დავუჭერდი ახალ ვარიანტს.

მიზეზები:

1. ორივე მხარე აღიარებს, რომ გამოცდის ძველი ფორმა უვარგისია და ახალი გზებია საძებარი, ხომ ასეა?

ისმის კითხვა: რატომ არის უვარგისი?

საფუძველთა საფუძველი: იდეოლოგიური ზეწოლის გამო ლიტერატურული პროცესების არასწორი შეფასება; შაბლონური, შეუცვლელი სახელმძღვანელოების მიმოქცევა წლების მანძილზე. მიზანი: თაობათა სტანდარტიზაცია. ამან, თავის მხრივ, განაპირობა მისაღები გამოცდებისათვის მზადების ასევე ტრაფარეტული და არანაკლებ დაშტამპული მოდელის დაკანონება.

ქართული პროგრამა, როგორც იტყვიან, ზღვა მასალაა. ფაქტობრივ, მზადდება 3 დისციპლინა: გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, პუნქტუაცია, სტილისტიკის ელემენტები), ლიტერატურა (ძველი, ახალი, უახლესი პერიოდები), ლიტერატურის თეორია. კაცმა რომ თქვას, ერთ-ერთი დისციპლინის ჩაბარებაც კი სერიოზულ შრომას, სიბეჯითეს მოითხოვს აბიტურიენტისაგან. მით უმეტეს, როცა ჩასაბარებელია სამი. რა ქნან ყმაწვილმა და მისმა მასწავლებელმა, როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან და ერთ წელიწადში უნდა მოუყარონ თავი ამხელა მასალას? ბუნებრივია, უნდა შემუშავდეს გარკვეული მეთოდიკა. როგორც წლების პრაქტიკა ცხადყოფს, ეს მეთოდები ერთ შაბლონზე დადის. ამ შაბლონის სახელია **ზედაპირულობა.**

2. ზედაპირულობა ყველაზე საშიშ სენად მიმაჩნია საზოგადოებისათვის, რადგან იგი გამორიცხავს **პროფესიონალიზმს.**

ზერელობა ისახება სკოლაში. მე წლების მანძილზე ვიმუშავე სკოლაში პრაქტიკოს მასწავლებლად და ამას რომ ვამბობ, უწინარესად, ჩემ თავს ვაკრიტიკებ. ძალიან ძნელია 30—40 [illegible] შესაძლებლობისა და განვითარე[illegible] ინტერესო, აიძულო ისწავლო [illegible] შემზღუდველი ფაქტორების ჩამოთვლა [illegible] სმიერ მასწავლებელს... [illegible] ლიტერატურის სწავლება სკოლაში დღემდე „შიშველ" ენთუზიაზმზეა დაფუძნებული. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ ჩვენ პირველ სიტყვას დავუბრუნდეთ.

მასწავლებელი ვალდებულია და იძულებული, რომ „პროგრამა" გაიაროს. მოსწავლეები „შეაფასოს" და „წავიდეს წინ". სწავლების დონე და ხარისხი ზარალდება, ზარალდება უღვთოდ. აქ ყოფა საფუძველი ზერელობას.

3. ახლა დავაკონკრეტოთ, რაში მდგომარეობს ზედაპირულობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

განვიხილოთ ლიტერატურის მაგალითზე. აქ ამოსავალია ტექსტის არსწავლა, ვერ მოსწრება, გადაკითხვა-გადათვალიერება. IX კლასელი ვერავითარ სიამოვნებას ვერ ღებულობს ძველი ქართული მწერლობის ტექსტების კითხვით, მით უმეტეს, საზეპირო ადგილების დამახსოვრებას არიდებს თავს. არც მოგვიანებით ილიას, აკაკის, ვაჟას ლექსების სწავლისათვის იმეტებენ დროს. „არსენა მარაბდელი" კი წასაკითხადაც „ეზარებათ". მასწავლებელი იძულებულია „წავიდეს წინ" იმ შემთხვევაშიც, როცა კლასის ნახევარზე მეტმა არ იცის „ვეფხისტყაოსნის" პროლოგი. წავიდეს წინ, როცა კლასმა არ იცის ავთანდილის ანდერძი. და ბოლოს, ირკვევა, რომ მოსწავლეების უმეტესობა „ვეფხისტყაოსანს" ჩამორჩა სადღაც, რომელიღაც ეპიზოდის გავლისას და მერე აღარ ან ველარ დაეწია. მასწავლებელი კი უკვე საუბრობს რუსთაველის ვინაობაზე, მეგობრობაზე...

ასე ილექება მოსწავლის გონებაში გაბნეული, ყურმოკრული, ყალბი „ცოდნა". როცა ადამიანმა არ იცის ტექსტი, ბუნებრივია, იგი ვერც განმსჯელად ივარგებს. სწორედ აქ ჩნდება „გზა ხსნისა" — სხვისი გააზრებული და დაწერილი თემები. ინებეთ, გინდა დაიზეპირეთ, გინდა პირდაპირ გადაწერეთ, საუკეთესო შემთხვევაში, ცოტათი „ტვინი იჭყლიტეთ", შეცვალეთ აბზაცი ან წინადადება, მოარგეთ სათაურს და საქმეც „გაიჩარხა".

ყმაწვილმა კი თან იცის, თან არ იცის!

ამიტომ, საგამოცდო საკითხებში **ტექსტობრივი** მასალის შეტანა ახალი ვარიანტის უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია.

4. ახლა ბევრი ეწინააღმდეგება გრამატიკის როლის „ზედმეტად" გაძლიერებას ახალ ვარიანტში.

შეიძლება დაისვას გრამატიკის სახელმძღვანელოების პრაქტიკაში მიმოქცევისათვის მეტად მოქნილობის საკითხი, მაგრამ დავა იმაზე, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი ენის უმთავრესი სტრუქტურები, მართლწერა და მართლმეტყველება, მკრეხელობად მიმაჩნია. აქ არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გრამატიკის ცოდნა დიდად აპირობებს ადამიანის აზროვნების წესს, ლოგიკურ-კონსტრუქციული განსჯის უნარს, [illegible] ჩვენს ყმაწვილებს [illegible] რი ფონდის [illegible] ერთად, არის იმის არცოდნაც, თუ როგორ გადმოსცეს ეს აზრი, როგორ გამართოს წინადადება, სიტყვების როგორი განლაგებაა ბუნებრივი ქართული ენისათვის, სად რომელი სასვენი ნიშანი უნდა დაისვას. ბოლოს და ბოლოს, გრამატიკას იმიტომ ხომ არ ვსწავლობთ, რომ ვიცოდეთ [illegible] სებითი სახელისა და ზმნის განსაზღვრებ[illegible], არამედ იმიტომ, რომ არ დავწეროთ „ხალხი მოვიდნენ" და „მათმა თქვეს"...

როგორც ჩანს, მართლაც უნდა გამოიცეს მისაღებ გამოცდებზე საგამოცდო ნაშრომებში დაშვებულ კურიოზულ შეცდომათა წიგნი და ეს ყოველგვარ მტკიცებაზე უფრო უპრიანი იქნება.

აბიტურიენტს არავინ არ სთხოვს აბსოლუტურ ცოდნას. აბსოლუტური ცოდნა რომ ჰქონდეს, უმაღლეს სასწავლებელში არც ჩააბარებდა. მას ელემენტარული ცნებების პრაქტიკულად აუცილებელი მასალის ცოდნა ევალება. მაშ, რატომ არ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა სწორად იმეტყველონ და გამართულად წერონ?! რატომ „ვუფარავთ" მათ ზედმეტ „დატვირთვისაგან"? [illegible] სამსახურს ხომ არ ვუწევთ ამით? ამ გზასაც **არაპროფესიონალიზმისაკენ** მივყავართ.

ვინ გამიჯნა ენა და ლიტერატურა, ენისა და ლიტერატურის „სპეციალისტი", ჩვენდა უნებურად, ჩვენვე ხომ არ [illegible] საკუთარ თავს.

ამდენად, გრამატიკის ელემენტარული ცნებების, პრაქტიკული გრამატიკის ცოდნის აუცილებლობის დაკანონებაც ახალი ვარიანტის დადებით მხარედ მიმაჩნია.

5. რამდენი ოფლი უდენია დამწერს „მერანის" გარჩევისას", როცა იძულებულია სამი ფურცელი მაინც შეავსოს და ერთ ფურცელზე მეტი კი არ „ეწერება" აქეთ პოეტის ეპოქას გადაწვდება, ისეთ-ბიოგრაფიას და პირად წერილებ. ბოლოს, ტანდათული თემა [illegible] და ყველაფერი რიგზეა. მაგრამ, აი, მიეცა ყმაწვილს შესაძლებლობა მოკლედ და კონკრეტულად უპასუხოს კონკრეტულად დასმულ კითხვას: რა იდეას ატარებს ნ. ბარათაშვილი „მერანში"?

საკითხის ამგვარად დასმა ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვაბრუნებს ზოგადი ტრაფარეტული მსჯელობიდან კონკრეტული საკითხის განსჯისაკენ. ზემოთ ნაჩვენები შაბლონის მიხედვით, გაცილებით იოლია დაწერო [illegible] „განთიადის" [illegible] დეურ-მხატვრული ანალიზი. პირველ შემთხვევაში შეიძლება დაწერო ყველაფერი და არაფერი (შეიძლება თემა ისე დაიწეროს, რომ ყმაწვილმა არ იცოდეს არც ერთი ლექსი ზეპირად, ან რამდენიმე სტროფის ცოდნაც იკმაროს), მეორე შემთხვევაში მოსწავლე იძულებულია იცოდეს კონკრეტული ნაწარმოები, შეძლოს მისი განსჯა-შეფასება, გემოვნების, პოზიციის გამოვლენა. აქ ცოცხლდება დისციპლინა, რომელიც სკოლაში „მკვდარ" საგნად ითვლება—ლიტერატურის თეორია.

იციან ჩვენმა ბავშვებმა ნაწარმოების „დაგემოვნება"? შეუძლიათ, ახსნან, რატომ მოსწონთ ესა თუ ის პოეტური ფრაზა? ერკვევიან ლექსწყობის ელემენტარულ საკითხებში? შეუძლიათ, შეაფასონ სიუჟეტის დინამიურობა? სახეობრივ-მეტაფორული აზროვნება? არ ეყოთ, რაც „გარჩევის" წიგნებიდან შეიტყვეს, რომ ესა თუ ის ნაწარმოები გენიალურია იმიტომ, რომ გენიალურია?!

რატომ უნდა შევუშალოთ ხელი ჩვენი შვილების გემოვნების დახვეწას? რატომ არ უნდა ჩაუღრმავდნენ, გაარკვიონ, მოსწონთ თუ არ მოსწონთ და **რატომ** მოსწონთ ან არ მოსწონთ. იქნებ დროა, დაიწყონ ფიქრი, დამოუკიდებელი აზროვნება. იქნებ, მერე თვითონვე გვისაყვედურონ ზედმეტი „აპეკუნობისათვის".

6. რაც შეეხება სტრესულ სიტუაციას, აქ რამდენიმე მომენტი იყრის თავს: ა) სამწუხაროდ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქართველოში უმაღლეს სასწავლებელში **მოწყობა** უაზროდ არის გაფეტიშებული. ეს პრესტიჟის საქმე უფროა, ვიდრე სულის მოთხოვნილება. დრო კი ისეთი მოდის, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. უნდა გაირკვეს: ვინ ისწავლოს, ვინ—იშრომოს. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ და არ ვაიძულოთ ჩვენი შვილები, რომელთაც წლების მანძილზე ვერ ან არ ისწავლეს, ერთ წელიწადში (მოსამზადებელ წელს) შეძლონ შეუძლებელი.

ამ თვალსაზრისით, სტრესულ სიტუაციას ჩვენ თვითონ ვქმნით. ბ) გამოცდა ყველაზე ღირსეულთა, შრომისმოყვარეთა და მცოდნეთა კონკურსის შემთხვევაშიც, არ გამორიცხავს ღელვას, დაბნევას, [illegible]. ეს ბუნებრივია. ამიტომ ქვია გამოცდას გამოცდა. ჩემი აზრით, სწორედ ჩვენ, მშობლებმა, უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ ჩვენი შვილების ცოდნაზე, არამედ მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე (რაც, ხშირად, მეორეხარისხოვან ამბად მიგვაჩნია). უწინარეს ყოვლისა, ჩვენ, მშობლებმა, უნდა მოვხსნათ სტრესული სიტუაცია და არა პირიქით.

7. დასასრულ, ვართ თუ არა ჯერ მზად სიახლისათვის?

ამბობენ, სკოლა არ არის მზად, მორალური უფლება არა გვაქვს ბავშვები კედელთან მივაყენოთ. ეს მართლაც ცოდვა-ბრალიანი საკითხია, როგორ ჯობია დავუცადოთ სკოლას? მაგრამ, ვინმემ ხომ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. განა სკოლაც და უმაღლესი სკოლაც ერთი მიზნისკენ არ ისწრაფვიან?!

რუსუდან ცანავა,

დოცენტი.

„თავის მოწოდებად რაცხს...იყოს მხატვარი"

წელს დიდ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. მართალია, ეს არ არის საიუბილეო თარიღი, მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ არქივებში დაცული დოკუმენტების საფუძველზე კიდევ ერთხელ გავადევნებთ თვალს მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მის მხატვრულ მემკვიდრეობას.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია ლადო გუდიაშვილის ავტობიოგრაფია (ფ. № 199, აღწ. 1, საქ. 8), რომელშიც სახალხო მხატვარი უბრალოდ და მოკრძალებით საუბრობს თავის ცხოვრებაზე. მაგრამ ნათქვამის მიღმა უამრავი შემოქმედებითი სიხარული და უფრო მეტი ადამიანური გულისტკივილია, ჩვენც სწორედ ამ სიხარულისა და ტკივილის წარმოჩენას შევეცდებით.

როგორც ვიცით, ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას ძირითადად სამ პერიოდად ჰყოფენ:

პირველი — 1914 წლიდან 1919 წლამდე, პარიზში გამგზავრებამდე;

მეორე — 1919 წლიდან 1926 წლამდე;

მესამე — 1926 წლიდან, როდესაც გუდიაშვილი სამშობლოში ბრუნდება, სიცოცხლის ბოლომდე.

შევჩერდეთ მეორე პერიოდზე, რომელსაც შეიძლება „პარიზული პერიოდი" ვუწოდოთ და რომელიც აღნიშნულია ხელოვნების ფრიად კონტრასტული მოვლენებით.

პარიზში იმ დროისათვის არსებობდა „ქართული სახელოვნო ორგანიზაცია" (მისი ხაზინადარი სწორედ ლადო გუდიაშვილი გახლდათ).

ვთავაზობთ 1919 წლის 10 თებერვალს პარიზიდან თბილისში, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში გამოგზავნილ დოკუმენტს:

„ამით პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ ა/წ პირველ თებერვლიდან პარიზში დაარსდა ქართული სახელოვნო ორგანიზაცია სახელწოდებით: „ქართველ ხელოვანთა კავშირი საფრანგეთში".

გაახლებთ რა ამასთანავე კავშირის წესდებას, კავშირის წევრთა და გამგეობაში არჩეულ პირთა სიას, — კავშირი გამოსთქვამს იმედს, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო, როგორც უმაღლესი ხელისუფლება არ მოაკლებს მას ტრადიციულ ყურადღებას...

„კავშირი იწყებს მუშაობას იმ რწმენით, რომ მის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ქართველ ხალხთან და მის მიწა-წყალთან შეუწყვეტელი და მტკიცე კავშირის გზით და ეს რწმენა ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ ნდობისა და სიახლოვის აუცილებლობას, რომელიც უნდა განმტკიცებული იქნეს ერის კულტურულ ძალთა და მმართველთა ძალაუფლებას შორის.

გაუწყებთ რა ყოველივე ამას — კავშირი გთხოვთ მიიღოთ მასი გულწრფელი გრძნობანი ღრმა პატივისცემისა და ერთგულებისა.

ამხანაგური სალმით
კავშირის გამგეობა
ნ. მიწიშვილი,
დ. კაკაბაძე,
ლ. გუდიაშვილი".

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტ. სახ. არქივი, ფ. 600, ა. 1, საქ. 317, გვ. 56).

საფრანგეთში არსებულ „ქართველ ხელოვანთა კავშირში" შედიოდნენ:

1. დავით კაკაბაძე — მხატვარი, პარიზი;
2. ლადო გუდიაშვილი — მხატვარი, პარიზი;
3. ვასილ ჯორჯაძე — მხატვარი, პარიზი;
4. ელენე ახვლედიანი — მხატვარი, პარიზი;
5. ქეთევან მაღალაშვილი — მხატვარი, პარიზი;
6. ირაკლი ორბელიანი — კომპოზიტორი, პარიზი;
7. მიხეილ ნანობაშვილი — ოპერის არტისტი, პარიზი;
8. სანდრო ინაშვილი — ოპერის არტისტი, მილანი;
9. რუსუდან მდივანი — მოქანდაკე, პარიზი;
10. მიხეილ ქიაურელი — მოქანდაკე, ბერლინი;
11. ვასილ ყუშიტაშვილი — რეჟისორი, პარიზი;
12. ნიკოლოზ მიწიშვილი — პოეტი, პარიზი.

„ქართველ ხელოვანთა კავშირის" მიზანი იყო: ა) საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ხელოვანთა შეკავშირება; ბ) მათ მორალურ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; გ) ქართული ხელოვნებისა და ქართული კულტურის პროპაგანდა უცხოეთში. ამ მიზნისათვის კავშირი მართავდა გამოფენებს, სამხატვრო-სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებს... დააარსა პარიზში ქართული გამომცემლობა.

იმ დროისათვის იქ თავს იყრიდნენ ყველა ჯურისა და რასის წარმომადგენლები, როგორც მოდურ ქალაქში, სადაც ოდესღაც „ჯამბაზობდნენ ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, არტურ რემბო და სტეფან მალარმე".

ამ ორომტრიალში მოხვედრილ მხატვარს ეყო გაბედულება და თავისი ოთხი სურათი: „ქეიფი", „იდილია", „კინტოების ქეიფი ქალთან", „ქეიფი გარიყრაყზე" — „საშემოდგომო სალონის" გამოფენაზე წარედგინა. სურათები მიიღეს, პრესა იუწყებოდა შორეული, ბევრისათვის უცნობი ქვეყნიდან მოსული მხატვრის წარმატებების შესახებ.

ლ. გუდიაშვილს სახელოსნოში (მონმარტზე) ეწვია გამოჩენილი ესპანელი მხატვარი იგნასიო სულოაგა, რომელმაც განაცხადა: „ვყიდულობ ყველაფერს, რაც კი რამ აქ არისო"...

შემოქმედებითი დღესასწაული გაგრძელდა მარსელის, ლიონის, რომის, ბრიუსელის, ბორდოს, ამსტერდამის, ნიუ-იორკის გამოფენებზე. შეხვედრები პიკასოსთან, მატისთან, ფერნან ლეჟესა და მორის უტრილოსთან... მეგობრობა ამადეო მოდილიანისთან... მეცადინეობები რონსონის „თავისუფალ აკადემიასა" და პარიზის სამხატვრო აკადემიაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გუდიაშვილი ცდუნებას არ აჰყოლია და სამუდამოდ ქართული ხელოვნების ერთგული დარჩა. იმდროინდელი ევროპული ფერწერა კი მას აინტერესებდა როგორც აკადემიზმისა და მოდერნიზმის სინთეზი.

აქვე უნდა აღინიშნოს მხატვრის თეატრალურ-დეკორატიული მუშაობის ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი.

პარიზში ყოფნისას გუდიაშვილმა გააფორმა კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარის ოპერა „გულნარა", რომლის ესკიზებიც დედნების სახით დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების არქივში, ირაკლი ჯაბადარის პირად ფონდში. ამავე ფონდშია დაცული ასევე პარიზში გამოცემული ე. ჯაბადარის „ოდაილი, დაილი"-ს გარეკანის მხატვრობა — „კავკასიური ცეკვა" (ჩვენ თავს ვიკავებთ ესკიზების განხილვისაგან, დავსძენთ მხოლოდ, რომ სამივე სურათი, ისევე როგორც ლ. გუდიაშვილის შესახებ არქივებში დაცული სხვა დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს წერილში არ ქვეყნდება, საინტერესო მასალა იქნება მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარებისათვის).







1922 წელს ლ. გუდიაშვილმა მოაწყო პერსონალური გამოფენა „ლა ლიკორნის" გალერეაში. პარიზის ერთ-ერთი გაზეთი წერდა:

„... ეს ყმაწვილი კაცი ავლენს სასწაულებრივ მისწრაფებას დარჩეს ქართველად, თავისი მთების, ხელოვნების ერთგულად".

მისი მეორე გამოფენის შესახებ, რომელიც 1925 წელს მოეწყო „ბიიეს" გალერეაში, ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ანდრეი სალმონი შენიშნავდა:

„ლ. გუდიაშვილი თავის მოწოდებად რაცხს უწინარეს ყოვლისა იყოს მხატვარი, არადა მოგეხსენებათ რას ნიშნავს მხატვრობა დელაკრუას, კურბეს, სეზანის, სიორას შემდეგ..."

მხატვრის ნაწარმოებები შეიძინეს მადრიდის პრადოს მუზეუმებმა, პარიზის გალერეებმა, ევროპელმა და ამერიკელმა კერძო კოლექციონერებმა.

პოპულარობის მიუხედავად მას არ ასვენებს საქართველოზე ფიქრი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1926 წელს სამშობლოში ბრუნდება. მაგრამ, თუ უცხოეთში „ბოჰემის" ციკლის ნამუშევრები საქართველოს ცხოვრების ზოგად სურათს წარმოადგენდა, საქართველოში რეალიზმის დამცველმა ზოგიერთმა კრიტიკოსმა გუდიაშვილის თემატიკა და სტილი მანკიერად მიიჩნია და განგაში ასტეხა. ამის ნათელსაყოფად გაგაცნობთ საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის 1948 წლის 24 ივნისის სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს, სხდომაზე განიხილეს ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის საქმე და აღნიშნეს, რომ: **„...მხატვრების კავშირის გამგეობის წევრების ლ. გუდიაშვილისა და დ. კაკაბაძის შემოქმედება აშკარა ფორმალისტურია, მათ დღემდე არ შესცვალეს ის გზა, რომელზედაც მთელი წლების განმავლობაში დგანან. თავიანთი შემოქმედება არ დაუახლოვეს დღევანდელ დღეს, ამიტომ, როგორც ლ. გუდიაშვილის, ისე დ. კაკაბაძის შემოქმედება არ შეესაბამება იმ ხაზს, რომელსაც მხატვართა კავშირის გამგეობა უნდა ატარებდეს საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 22 მაისის დადგენილების შემდეგ და მიზანშეწონილად მიაჩნია ამხ. ლ. გუდიაშვილისა და დ. კაკაბაძის გამგეობიდან გამოყვანა".** (ფ. № 10, აღწ. 1, საქ. 211, ფ. 60).

ამ სხდომის დადგენილებით ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე მართლაც გამოიყვანეს გამგეობის შემადგენლობიდან.

მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდნენ ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძეს, ანუ რა იგულისხმებოდა იმ „ხაზში", რომელიც მხატვართა კავშირის გამგეობას უნდა გაეტარებინა, ჩამოვრჩეთ მოვლენებს და ვნახოთ რა ნიადაგი დახვდა სამშობლოში დაბრუნებული მხატვრის შემოქმედებას. ამისათვის მოვიშველიებთ დავით კაკაბაძის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა 1934 წელს მხატვართა კავშირის მიერ საგამოფენო მუშაობის შესახებ ჩატარებულ დისპუტზე:

„საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში შემოქმედებითი მუშაობა ქართულ მხატვრობაში მიძინებული იყო, მაგრამ ერთი მეტად დიდი, მნიშვნელოვანი, და აქტუალური საქმე მოხდა მაშინ. ეს იყო სამხატვრო სასწავლებლის დაარსება 1922 წელს... ამავე დროს არის ჩატარებული მუშაობა ორგანიზაციული სახის, იმისათვის, რომ ახალი საბჭოთა მხატვრების კადრები ყოფილიყო აღზრდილი ამ სასწავლებელში და სწორედ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის ახალგაზრდობა, რომელიც გამოვიდა სამხატვრო აკადემიიდან, ის პლეადა, რომელსაც ვითვლით ასეულათ, ეს ახალგაზრდობა სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციული ნაბიჯის შედეგი არის. (ხაზი ჩემია — მ. ს.). რასაკვირველია, სამხატვრო სასწავლებელს არ შეეძლო ახალი „გარდაქმნილი" კადრების გამოშვება არც დაარსების პირველ წელს, და არც მომდევნო წლებში და ეს მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ დაახლოებით 26-27 წლამდე ქართულ მხატვრობას აქვს იგივე ძველი სახე, იგივე ძველი ტენდენციები, იგივე ძველი მიმართულებანი. არ ჩანს ბრძოლა იმისათვის, რომ ქართულ მხატვრობას მისცემოდა სახე და შინაარსი იმისი, რასაც მაშინ საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა,.. სწორედ 1927 წლიდან იწყება ჩვენში უფრო აქტიური მუშაობა ამ გარდაქმნისათვის, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ და ჩვენ ვიცით, რომ 1929 თუ 1930 წელს უკვე ჩამოყალიბდა საბჭოთა მხატვრების მთლიანი ორგანიზაცია „სარმა"-ს (საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია) სახელწოდებით..." (ლხცსა, ფ. 10, აღწ. 1, საქ. 39, ფ. 35-36).

ჩვენ არ შევუდგებით ორგანიზაცია „სარმა"-ს მუშაობის შეფასება-ანალიზს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ მონაკვეთს „სარმას" პლენუმის სხდომაზე პროლეტარული ხელოვნების შესახებ ჩატარებული დისპუტის სტენოგრაფიული ანგარიშიდან:

„ვუსურვოთ კოლექტიური მუშაობა მხატვრებს და მის ხელმძღვანელობას. დღეს ორი-სამი კაცი ერთად სწერს გაზეთში კორესპონდენციას, ერთად ადგენს სახელმძღვანელოს და რატომ არ შეიძლება მხატვრებმა იმუშაონ ერთად" (ფ. 10, აღწ. 1, საქ. 23, ფ. 9.).

ვგონებ, ყველაფერი ნათელია, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ ისიც, თუ რა უნდა ეხატათ მხატვრებს „კოლექტიურად" ან თუნდაც ინდივიდუალურად, რომ იმ „დღევანდელ დღეს" დაახლოებოდნენ. ვნახოთ რომელიმე წლის (ამ შემთხვევაში, 1937 წლის მხატვრებისა და მოქანდაკეების საგაზაფხულო შემოქმედებითი მივლინების) თემატური გეგმა. აი, როგორი ხასიათისაა იგი:

I. „პორტრეტული მხატვრობა". (საქართველოს სხვა და სხვა ტიპები).

1. მეგრელი კოლმეურნე ქალის პორტრეტი პეიზაჟის ან მისი სახლ-კარის ფონზე.

2. აჭარელი გლეხი (ან ქალი) ციტრუსების ფონზე.

3. გურული ქალი და ახალგაზრდა ყმაწვილი, გურიის დამახასიათებელ პეიზაჟზე.

II. მ/გ წითელი არმიის

1. წარჩინებული ადამიანების პორტრეტები: ორდენოსანი მეთაურების და მებრძოლების, ტანკისტების, არტილერისტების, ტყვიამფრქვევლების, ცხენოსნების.

2. ამხ. ვოროშილოვი ქართულ მსროლელ ლეგიონში ყოფნის დროს:

ა) ფეხოსანი ჯარის ალლური,

ბ) ცხენოსანი ჯარის გასინჯვა-დათვალიერება,

გ) მოხსენება წითელარმიელებთან.

III.

ა) ქართული დივიზია საველე მსვლელობაში.

ბ) ტყვიამფრქვევლები, მსროლელნი კავკ. მსრ. დივიზიისა სურამის უღელტეხილზე.

გ) პლევის ბრძოლა ცხენოსან ნაწილებისა,

დ) არტილერია ცეცხლის პოზიციებზე.

IV.

ა) კოლმეურნენი ხვდებიან წითელარმიელების ნაწილებს სწავლაზე,

ბ) მეთაური ესაუბრება კოლმეურნეს (ძველ პარტიზანის მოგონებანი),

გ) წითელ არმიელები და საკოლმეურნეო ახალგაზრდობა თავის დასვენებას ატარებენ სიმღერაში და ცეკვაში.

დ) ლაგერს ესტუმრა მუშები შეფები (ვაზიანის, ავჭალის, შულავერის, მცხეთის, ბაკურიანის, გორის და მანგლისის ლაგერები).

....

თავისუფალი თემები

1. მილიციელი თავის პოსტზე აწესრიგებს ქუჩის მოძრაობას. ფონათ-ტფილისის ერთ-ერთი რომელიმე გამოჩენილი კუთხე".

(სტილი დაცულია — მ. ს. ლხცსა, ფ. 10, აღწ. 1, საქ. 101, ფ. 22-24).

მაგრამ გეგმიური დავალების ზედმიწევნით შემსრულებელი მხატვარიც ვერ ასცდებოდა კრიტიკის ქარ-ცეცხლს თუ მუშაობისას არ გაითვალისწინებდა ერთ ძირითად მომენტს, კერძოდ — როგორ უნდა ეხატა. ნათქვამის დასაზუსტებლად შემოგთავაზებთ კოპალიანის გამოსვლას კავშირის მიერ 1934 წლის 15 მაისს საგამოფენო მუშაობის შესახებ ჩატარებულ დისპუტზე — იგი საუბრობს კ. სანაძის ნამუშევრებზე: **„...მხატვარს უნდა ახსოვდეს, რომ აჭარელი ქალი არის მუშა ქალი, მასში არ არის სინაზე, არამედ მასში არის განვითარებული შრომის მეტი გამძლეობა... მე არა მგონია, რომ აჭარელი ქალი ასეთი ფერმკრთალი ფერის იყოს და მას ქონდეს ამგვარი წვრილბურჟუაზიული გამოხედვა. ეს აუცილებლად სუსტი მხარეა მხატვრის, რომელმაც უნდა გამოასწოროს და დაუახლოვდეს მართლა სოციალისტურ რეალიზმს".**

ან კიდევ:

„...ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ გადახრას. ჩვენ ძირშივე უნდა აღვკვეთოთ ფორმალიზმი, ამის წინააღმდეგ ჩვენ უნდა გავშალოთ ბრძოლა [illegible] თუ დისპუტის საშუალებით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პრესაც. ჩვენ შეგნებული მხატვრული კრიტიკოსები უნდა შემოვიკრიბოთ პრესის გარშემო. ჩვენ ბოლშევიკებს საზოგადოდ გვჩვევია ბოლშევიკური დარტყმა და უნდა დავარტყათ იმ გადახრებს, რომლებსაც სახვით ხელოვნებაში ექნება ადგილი. ჩვენი

გამოფენის სურათების უმრავლესობა ფორმალისტური სურათებია. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს არ მაწყენიეს პოლიტიკას. უნდა მოისპოს ქრისტიანული პოლიტიკა. მე-17 ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაიშალა ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე. იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების შესახებ ლაპარაკობდა ამხ. სტალინი, ამხ. კაგანოვიჩი და კიდევ ამხ. მენჟინსკი, რომელიც ხელმძღვანელობს კომუნისტურ ინტერნაციონალს. აქ იყო მთელი რიგი შეხედულებები ლიტერატურაშიც თუ გნებავთ. მაგ. საქართველოში ლიტერატურულ ფრონტზე უკვე გაშლილია ბრძოლა.

მე ვფიქრობ ამის შემდეგ ყველა შეგნებული ოსტატი აღნიშნავს იმ უარყოფით მხარეს, რომელიც დღემდე ახასიათებს ჩვენს სახვით ხელოვნებას მხატვრობის დარგში. (ტაში). (ფ. 10, აღწ. 1, საქ. 39, ფ. 62-66).

აკი „აღნიშნეს" კიდეც და, როგორც უკვე ვნახეთ, 1948 წლის 22 მაისის დადგენილებით ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე გამოიყვანეს გამგეობის შემადგენლობიდან, თუმცა საკმარისად არც ეს მიიჩნიეს და იმავე წლის 11 ოქტომბერს შემდგარ საქართველოს საბჭოთა მხატვრების პლენუმის სხდომაზე კვლავ განიხილეს ლადო გუდიაშვილის შემოქმედება. გთავაზობთ შ. მამალაძის სიტყვას ამ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან: **„ამხანაგებო, ყველასათვის ცნობილია, რომ მხატვარ ლადო გუდიაშვილის შემოქმედების განხილვა სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით არასოდეს არ ჩატარებულა. გუდიაშვილის მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე ადგილი არ ჰქონია მისი შემოქმედების სერიოზულ ანალიზს, სადაც გარკვეულად და საქმიანად შესაძლებელი იქნებოდა შესაფერი დასკვნის გამოტანა.**

გუდიაშვილის მხატვრული მოღვაწეობის დასაწყისი დაემთხვა რევოლუციამდე არსებულ საქართველოს მწერლობის იმ მიმართულებას, რომელიც ცნობილია „ცისფერი ყანწელების" სახელით. ამავე დროს რუსეთში არსებობდა სახვითი ხელოვნების რამოდენიმე მიმართულებანი, მათ შორის ე. წ. „ბუბნოვი ვალეტი" და „გოლუბიე როზი". ახალგაზრდა მხატვრის გუდიაშვილის ფორმირებაში უდაოდ დიდი როლი ითამაშეს ამ სიმბოლისტურ, მისტიურ-დეკადენტურმა წრეებმა და მის შემდეგ შემოქმედების მთელ მანძილზე ლ. გუდიაშვილი ამ რკალიდან არ გათავისუფლებულა. გუდიაშვილმა შინაც ვერ შენიშნა ხალხის გამანთავისუფლებელი შესანიშნავი ბრძოლების ამბები, ხალხის ზრახვები და მისწრაფებანი, მოზღვავებული კულტურის და სოცილურ-განმათავისუფლებელ მოძრაობებში.

გუდიაშვილმა დაინახა მხოლოდ ქვეყნის ერთი მხარე, არისტოკრატიის, თავადაზნაურობის ცხოვრება, მათი ლხინის, ნადირობისა და დროსტარების სახით.

გუდიაშვილს სერიოზულად არ გადაუსინჯავს თავისი შემოქმედება, არ უფიქრია იმის შესახებ, რომ მაშინდელ საქართველოს ჰქონდა კიდევ ორი მხარე—შრომის თავისუფლებისთვის ბრძოლის, სოციალური თანასწორობისა და დიდი კულტურის მხარე, საიდანაც წარმოიშვა არაერთი და ორი, მსოფლიოში ცნობილი მოღვაწე.

გუდიაშვილმა გადაგვარებული არისტოკრატიის, უსაქმური და უნიადაგო თავადაზნაურობის დეფორმირებული ქალ-ვაჟები, მოქეიფე და მონადირე „რაინდები" ჰიაკონას ცხენებზე შესვა და თავისი შემოქმედების ტილოდან ტილოზე ატარებდა.

ასეთი მარაგით და მსოფლმხედველობით იწყებს გუდიაშვილი თავის შემოქმედებით მუშაობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე.

თუმცა იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ შემოქმედების ხაზით კი უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალურ პოზიციებზე რჩება. ხანგამოშვებით კვებავს იგი თავის პალიტრას ძველი, აღმოსავლური „არომატით" და თავის ტილოებზე აღმოცენებულ გმირებს უსაქმო და უნიათო ცხოვრებაზე აოცნებებს.

ასე დღითი-დღე უფრო მეტად შორდებოდა გუდიაშვილი მის ირგვლივ მჩქეფარე სოციალისტურ მშენებლობის ახალ ცხოვრებას.

ფერისა და ნახაზის ოსტატი მხატვარი გუდიაშვილი ანხორციელებს ძველ იგავ-არაკების ილუსტრაციებს, იპყრობს ამით საბჭოთა საზ-ბის ყურადღებას და აღწევს ერთგვარ შელავათს თვისი ძირითადი შემოქმედებითი დეკადენტური არსის გაგრძელებისათვის, საბჭოთა ხელოვნების განვითარების პერიოდში გუდიაშვილი უხვად სარგებლობდა „ინდივიდუალური პრივილეგიებით" და როგორც ეხლა ვხედავთ, ამით მან უფრო გააღრმავა მის შემოქმედებასა და საბჭ. ხელოვნებას შორის თავიდანვე გავლებული ზღვარი. არც ერთი მისი ნაწარმოებები, შექმნილი ამ პერიოდში ოდნავადაც ვერ უახლოვდება ჩვენი ქვეყნის დიადი მშენებლობის ამბებს...

ინდუსტრიული მშენებლობის ამბებზე გუდიაშვილი მოგვითხრობს აღმოსავლეთის შორეული წარსულის იგავის პრიმიტიულობით, საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ მისი ინდუსტრიული პეიზაჟი და სხვა.

ეს გზა გუდიაშვილისათვის შემთხვევითი არ არის და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი კანონზომიერად გამომდინარეობს მისი მცდარი მსოფლმხედველობიდან, რაც მას აშკარა ფორმალიზმის მებაირახტრედ ხდის საქართველოში...

ამასთან ჩვენ არ შეგვიძლია არ შევეხოთ გუდიაშვილის შემოქმედების უკანასკნელ ეტაპს, რომელიც დაგვირგვინდა კლერიკალური მისტიციზმით (ქაშვეთის ეკლესიის კედლებზე).

გუდიაშვილი ამ აქტით უკვე აშკარად დაუპირისპირდა საბჭოთა მხატვრის პრინციპებს და მოქალაქის პროგრესულ შეგნებას... ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ისე დაგვიანებული იქნება, თუ დღეს მთელი პირდაპირობით განვაცხადებთ, რომ გუდიაშვილის შემოქმედებას ისეთს, როგორიც ის დღეს არის, არავითარი საერთო არა აქვს საბჭ. ხელოვნების განვითარების მიზნებთან, რომ მისი შემოქმედება ფორმალიზმის ტენდენციის აშკარა მატარებელია, რომ შეუთვისებელია ჩვენი კოლექტივის მიზნებთან და მისწრაფებებთან.

ახლა თვით გუდიაშვილისაგან არის დამოკიდებული, თუ რამდენად ისურვებს და შესძლებს მთელი თავისი შემოქმედებითი გზის კორდინალურ გადასინჯვას, ობიექტურ შეფასებას და შემდგომში, საბჭოთა მხატვრებთან ერთად, რეალიზმის გზით თავისი მუშაობის გაგრძელებას.

ასეთივე პრეტენზიებს უყენებთ მხატვარ დავით კაკაბაძეს... (ფ. 10, აღწ. 1, საქ. 345, ფურც. 49-53).

საგონებელში ჩავარდნილ მხატვარს ურჩევდნენ ერთხელ და სამუდამოდ გასცლოდა წარსულის ამსახველ სურათებს და ლ. გუდიაშვილიც ამაოდ ცდილობდა ახალი ცხოვრება ნატურალურად გადმოეცა.

აი, რას ამბობს კრიტიკის საპასუხოდ მუდამ თავშეკავებული მხატვარი:

„...მართალია არა მხოლოდ დღეს, არამედ დიდი ხანია, რაც ჩემი შემოქმედების შესახებ ხშირად და დიდ ნაწილშიც სამართლიანად მიმითითებენ. მე ცხადია ვუჯერებ და ყურს ვუგდებ ზოგიერთი ამხანაგის მეგობრულ, ამხანაგურ კრიტიკას, ეს ალბათ ასეც უნდა იყოს. მართალია, რომ ჩემი გზა იყო მეტად რთული, სხვა პირობებში იყო გამართული და დღეს სულ სხვა პირობებში მიხდება ცხოვრება, მუშაობა. თქვენ კარგად ხედავთ, როგორ მიძნელდება გარდავქმნა ჩემი შემოქმედება... მე მიძნელდება იმიტომ, რომ ჩემი ხელოვნების ფუძე ჩაყრილი იყო იმ დროს, როდესაც სულ სხვა პირობები იყო შექმნილი... ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ როგორც გრაფიკაში, თეატრის დარგში, ისე ფერწერაში ჩემი შემოქმედება შევცვალო, მაგრამ ჩემთვის ეს უმძიმესია..."

ლადო გუდიაშვილმა დააღწია თავი ამ გაუგებრობას, სძლია ყველა შეძახილს და შემოქმედებითად პირნათლად წარსდგა შთამომავალთა წინაშე. ხატავდა იმას, რასაც გული და გონება უკარნახებდა და ფუნჯსა და ფერს ძალდაუტანებლად ამეტყველებდა.

მარინე ხხირტლაძე

სურათებზე: ორი ესკიზი ერეკლე ჯაბადარის ოპერისათვის „გულნარა" და მისივე „ო, დაილი, დაილის" გარეკანი.

ქართული ბეჭდვითი სიტყვის თბილისური კერები

ბეჭდვითი სიტყვა — გაზეთი, ჟურნალი, წიგნი... ერისა და ქვეყნის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დონის მაჩვენებელია. ათეული წლების განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულად ჩვენში 5 მაისი, ანუ ბოლშევიკური „პრავდის" დაარსების თარიღი (5. 05. 1912) ითვლებოდა, არადა ცნობილია, რომ პირველი ქართული პერიოდული გამოცემა — „საქართველოს გაზეთი" 1819 წლის 8 (ახალი სტილით 20) მარტს გამოვიდა, ქართული ენის დღედ 14 აპრილი, ხოლო ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღედ 8 სექტემბერია გამოცხადებული.

ამიტომ, ვფიქრობთ, სასურველია მეტი ვიცოდეთ ქართული ბეჭდვითი სიტყვის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. წინამდებარე წერილი და რუკაც, რომელიც მხატვარმა **ლუიზა ქიკაძემ** მოგვიმზადა, ამ მიზანს ემსახურება.

ქართული ბეჭდვითი სიტყვის ყველა თბილისური კერის წარმოჩენა სამომავლო საქმეა და ავტორ-შემდგენელი სიამოვნებით მიიღებს დაინტერესებულ მკითხველთა შენიშვნას თუ წინადადებას, რომ გაერთიანებული მეცადინეობით შეიქმნას არა მხოლოდ თბილისის, არამედ სრულიად საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ძველი და ახალი კერების ჭეშმარიტი მეგზური — რუკებიანი და სურათებიანი წიგნი.



1. ვახტანგ გორგასალის ძეგლი. მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია. აქედან იწყება თბილისის ლეგენდა და სინამდვილე.
2. სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი.
3. სასულიერო აკადემია. სასულიერო სემინარია.
4. მემორიალური სვეტი. მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ვახტანგ მეექვსემ 1709 წელს, ანუ პირველი ქართული წიგნის რომში გამოქვეყნებიდან (1629) 80 წლის შემდეგ ამ ადგილას დააარსა პირველი ქართული გამომცემლობა — სტამბა, რომელმაც 1723 წლამდე იარსება და დაბეჭდა ოცი წიგნი: „სახარება", „სამოციქულო", „ლოცვანი", „ბიბლია", „ვეფხისტყაოსანი"... აქვე ძველი თბილისის უბანში, 1768-1787 წლებში გამოდიოდა გაზეთი „ბრძანება და უწყება" (ეგზემპლარებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია), ხოლო 1819-1821 წლებში „საქართველოს გაზეთი"...
5. სრულიად საქართველოს საპატრიარქო. ერეკლეს მოედანი, 1. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით აქ იქმნება გაზეთი „მადლი", ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმძღვანელო წიგნები.
6. საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირი. ერეკლეს მოედანი, 3.
7. ბარათაშვილის ძეგლი.
8. ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, მარქსის ქუჩა, 7.
9. საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ფერადი ბეჭდვის სტამბა. ალმაშენებლის გამზირი, 50.
10. ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი. გამომცემლობა „საქართველო". მარჯანიშვილის ქუჩა, 5.
11. ნინოშვილის (ყოფილი ალექსანდრეს) ქუჩა, 25, 1852-1875 წლებში აქ გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი".
12. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი და მისი ფილიალები. ჯავახიშვილის ქუჩა, 7 (აქ იბეჭდებოდა „ივერია"), ჩუბინაშვილის ქუჩა, 22, 18.
13. № 1 სტამბა. გამომცემლობა „განათლება". ჩუბინაშვილის ქუჩა, 50.
14. საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობა-სტამბა. წინამძღვრიშვილის ქუჩა, 188.
15. გამომცემლობა „ხელოვნება", ალმაშენებლის გამზირი, 179.
16. კინოსტუდია „მემატიანე".
17. დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.
18. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის საგაზეთო კორპუსი. ხოშარაულის ქუჩა, 29.
19. ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა. პოლიგრაფიული სასწავლებელი. ქართული შრიფტის ლაბორატორია. რობაქიძის გამზირი, 7.
20. კინოსტუდია „ქართული ფილმის" სტამბა. ახმეტელის ქუჩა, 10-ა.
21. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ვაჟა-ფშაველას გამზირი, 1.
22. განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქუჩა, 11.
23. № 4 სტამბა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29.
24. ვაჟა-ფშაველას ძეგლი.
25. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტის ქუჩა, 3.
26. ქართული წიგნის პალატა. საბურთალოს ქუჩა, 47.
27. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა-სტამბა. კუტუზოვის ქუჩა, 19.
28. გამომცემლობა „ნაკადული". გამსახურდიას გამზირი 28.
29. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა-სტამბა. საერთაშორისო ყოველკვირეული გაზეთის („ნაშ კავკაზ") რედაქცია. კოსტავას ქუჩა, 69, კორპუსი 5.
30. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. რუხაძის ქუჩა, 1.
31. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა, რუხაძის ქუჩა, 1.
32. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი. კოსტავას ქუჩა, 68.
33. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების უპირველესი კერა. აქ არის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი; გამომცემლობა; რედაქცია; სტამბა. ჭავჭავაძის გამზირი, 1.
34. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ჭავჭავაძის გამზირი, 32.
35. ქართული ენციკლოპედია. ჭავჭავაძის გამზირი, 47.
36. გალის ქუჩა, 19. 1974-1977 და 1980-1990 წლებში აქ იბეჭდებოდა დისიდენტური ლიტერატურა: „ოქროს საწმისი", „საქართველოს მოამბე", „საქართველო", „მაცნე"...
37. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. მელიქიშვილის ქუჩა, 10.
38. ივანე მაჩაბლის სახლი — ამჟამად სრულიად საქართველოს მაჩაბლის საზოგადოების დარბაზი. კოსტავას ქუჩა, 40.
39. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა-სტამბა „სამშობლო". კოსტავას ქუჩა, 14. აქ არის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და სხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციები. იქმნება 66 დასახელების გაზეთი და 44 დასახელების ჟურნალი. ტრადიციული პოლიგრაფიის პარალელურად ინერგება კომპიუტერული წყობის ტექნოლოგია...
40. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. კოსტავას ქუჩა, 5.
41. გრიბოედოვის (ყოფილი კომენდანტის) ქუჩა, 35. ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით აქ 1863 წელს გამოდიოდა „საქართველოს მოამბე".
42. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. გრიბოედოვის ქუჩა, 22. ქართული ანბანის მიხედვით აქ იქმნება ახალი სასტამბო და მხატვრული ასო-ნიშნები.
43. გამომცემლობა „მერანი" „საქინფორმი". „ახალი ამბების სააგენტო". გაზეთების — „სამშობლო". „სვობოდნაია გრუზია" რედაქცია. რუსთაველის გამზირი, 42.
44. ოფსეტური ბეჭდვის სტამბა, ბროსეს ქუჩა, 2.
45. წიგნის მოყვარულთა საზოგადოება. რუსთაველის გამზირი, 40/1.
46. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო. აქ შეიქმნა ქართული კოსმოსური კომუნიკაციის სისტემა. რუსთაველის გამზირი, 12.
47. მთავრობის სახლი. ქართული ენის სახელმწიფო კომისია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლების და მეცნიერების მუდმივი კომისია. უზენაესი საბჭოს პრესცენტრი...
48. ეროვნული ბიბლიოთეკა. კეცხოველის ქუჩა, 5.
49. თბილისის მოსწავლეთა სასახლე. რუსთაველის გამზირი, 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელი (1918 წლის მაისი — 1921 წლის თებერვალი).
50. მამა დავითის ეკლესია. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი.
51. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. კავკასიოლოგთა საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის" რედაქცია. ინგოროყვას ქუჩა, 8.
52. საქართველოს მწერალთა კავშირი, მაჩაბლის ქუჩა 11, 18.
53. ნიკო ნიკოლაძის სახლი. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა, 21.
54. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს", რედაქცია. გუდიაშვილის მოედანი, 2.

გვანჯი მანია

განცხადება

საქართველოს მცირე საწარმოთა და კოოპერატორთა დამოუკიდებელი კავშირი სამუშაოდ იწვევს მომარაგებლებს. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: **380068, ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. № 8.**

ტელეფონი: **98-78-47, 98-78-49, 98-81-86.**

დარგთაშორისი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება
„საქინფორმსამართალი" და მცირე საწარმო „ორლი"
გთავაზობთ
გაფართოებული კონფიგურაციის IBM თავსებად PC/AT
პერსონალურ კომპიუტერებს.
ანგარიშსწორება წარმოებს გადარიცხვით.
ფასი არა უმეტეს 45 ათასი მანეთი.
მოწოდება ხელშეკრულების დადების დღესვე.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1
ტელ.: 10.00 — 17.00 სთ. 37-58-25, 36-66-47.
19.00 — 22.00 სთ. 93-57-77, 62-52-12.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

ვითარება სამაჩაბლოში

სამაჩაბლოში 14-15 აპრილს ღამით სროლა არ ყოფილა. 14 აპრილს სოფელ ქსუისის ქართველი გლეხები მინდვრად მუშაობდნენ. მათთან ერთად შრომობდა ტრაქტორისტი გენო ბესტაევი. დღის სამ საათზე მათ თავს დაადგა 15 ოსი ექსტრემისტი, რომლებმაც ტრაქტორიდან გადმოსვეს გენო ბესტაევი და უთხრეს: ხომ გაგაფრთხილეთ ქართველებთან ერთად მუშაობას თავი დაანებეო, რატომ არ ასრულებ ჩვენს ბრძანებასო. ამის შემდეგ ბანდიტებმა გენო ბესტაევი და ტრაქტორი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

15 აპრილს დილის 10 საათზე საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს ტერიტორიიდან, რომელიც ცხინვალის შესასვლელთან მდებარეობს, ცხინვალის რაიონის თამარაშენის, აჩაბეთის, კეხვის, ქურთას და სხვა სოფლების მიმართულებით გავიდა პირველი ავტობუსი. უსაფრთხოების მიზნით ავტობუსით მიმავალ მგზავრებს გააცილებს შინაგანი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორი. ავტობუსი დღეში ორ რეისს გააკეთებს — დილის 10 საათსა და დღის 4 საათზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქინფორმი.

ვაკის დახურულ საცურაო აუზში სიმაღლეში ზრდის რესპუბლიკური ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას ცნობილი მოსკოველი ექიმი-ნოვატორის ა. ს. პალკოს მიერ შემუშავებული მეთოდიკით დაკომპლექტებულ ჯგუფებში.

ცენტრის ხელმძღვანელია რესპუბლიკაში ერთადერთი ექიმი-სპეციალისტი, პალკოს მიერ დიპლომირებული, თბილისში პირველი კაბინეტის დამაარსებელი თ. ვ. ქორიძე.

გამოცდილი სპეციალისტების, მასაჟისტებისა და მეთოდისტების ხელმძღვანელობით თქვენ შეგიძლიათ გარდა სიმაღლეში მომატებისა, მარტივი და ორგანიზმისათვის უვნებელი მეთოდით:
— ზედმეტი წონის მოკლება;
არასწორი დგომისა და სიარულის გამოსწორება;
I-II ხარისხის სკოლიოზის მკურნალობა.
თქვენ გელით ტრენაჟორების დარბაზი და მასაჟი,
საცურაო აუზი და საუნა.

იჩქარეთ! 25-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ თქვენ გაცილებით უკეთ, ლამაზად და მსუბუქად იგრძნობთ თავს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის პრ. №49; ტელ.: 22-61-00

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს".

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას", „გვესაჭიროება", „ვყიდი", „ვყიდულობ", „ვასწავლი", „ვაქირავებ" და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი"

საბჭოთა კავშირ-ამერიკა-კანადის ერთობლივი საწარმო „მ. გ." საწარმოო-კომერციული ფირმა „ედემთან" ერთად გიწვევთ სამკურნალო კოსმეტიკის ფასიან კურსებზე.

სწავლების პროგრამაშია:
— სამკურნალო კოსმეტიკის ძირითადი ასპექტები.
— სამკურნალო მასაჟი, კოსმეტიკური პროცედურები.
— ფიტოთერაპია სამკურნალო კოსმეტიკაში.
— კოსმეტოლოგიური ფიზიოთერაპია.
— წერტილოვანი და კლასიკური მასაჟის საფუძვლები.
— დეკორატიული კოსმეტიკისა და მაკიაჟის საფუძვლები.
— კოსმეტოლოგიური საშუალებების დამზადების რეცეპტები.

მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი ექიმი კოსმეტოლოგები, ექიმი დერმატოლოგები, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი კოსმეტოლოგები. კურსების დამთავრებისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ მსმენელებს მიეცემათ საერთაშორისო სერტიფიკატი სპეციალობით „კოსმეტოლოგი". საზღვარგარეთ მუშაობის უფლებით. მეცადინეობა ჩატარდება რუსულ ენაზე 27 აპრილიდან 12 მაისამდე. ღირებულების გადახდა შესაძლებელია გადარიცხვით. ცნობებისათვის მიმართეთ: რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, I სართული, ცნობათა ბიურო. ტელ. 39-57-95, 10.00-17.00 საათამდე.

მაყურებელი დაამშვენებდა...

ამ რამდენიმე ხნის წინათ, თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საქართველოს მეორე ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში (ინვალიდთა შორის). შეჯიბრების სპონსორები იყვნენ საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო, „ივერთბანკი", თბილისის სახელმწიფო ცირკი და კომერციული ფირმა „შელდა". ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული, რაც, უდავოდ, ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის დიდი დამსახურებაა; ორთაბრძოლებს შორის მიმდინარეობდა ფირმა „შელდას" მიერ მოწყობილი შოუ-პროგრამა (მოცეკვავე ბიჭუნებს ჯაზ-ქორალი ცვლიდა, შემდეგ სამეჯლისო ცეკვები და ა.შ.) შესვენებაზე კი მიმდინარეობდა აუქციონი, სადაც იყიდებოდა ფერადი ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, იმპორტული ავეჯის გარნიტურები და ჩინური ჩაის სერვიზები...

ეხლა კი შეჯიბრების გამარჯვებულებს გაგაცნობთ: 80 კგ წონითი კატეგორია: 1. რაინდი ბახტიძე (ზესტაფონი); 2. ზვიად ზაქაშვილი (თბილისი); 3. ნოდარ რეხვიაშვილი (თბილისი). 80 კგ-ზე ზევით: 1. ლევან ჟამიაშვილი (თბილისი); 2. ოლეგ გაბიტაშვილი (თბილისი); 3. თამაზ ნამუსიშვილი (თბილისი). აბსოლუტური წონითი კატეგორია: 1. ლევან ჟამიაშვილი (თბილისი); 2. ვანო თინაშვილი (გარდაბანი); 3. ოლეგ გაბიტაშვილი (თბილისი).

აღსანიშნავია, რომ ტურნირზე შეირჩა საქართველოს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირზე — „მოსკოვური დათვები" (ინვალიდთა შორის). ყველა პრიზიორი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდული კავშირის მიერ იყო დაწესებული. დაწესებული იყო აგრეთვე ყველაზე ახალგაზრდა და ხანდაზმული მონაწილის პრიზებიც, რომლებიც შესაბამისად გადაეცათ დავით მელიქიძესა და ვანო თინაშვილს (ორივე — გარდაბანი). ინვალიდთა სპორტულმა ფედერაციამ თითქმის ყველა მონაწილე დააჯილდოვა სპორტული ფორმებით, ასევე დაჯილდოვდა ტურნირის მთავარი მსაჯი ირაკლი შაიშმელაშვილიც. საუკეთესოდ აღიარებული იქნა გარდაბნის გუნდი, რომელსაც გადაეცა ინვალიდთა კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის სპეციალური პრიზი. 80 კგ-ზე ზევით და აბსოლუტური წონით კატეგორიაში გამარჯვებული ლევან ჟამიაშვილი საქართველოს ახალგაზრდულმა კავშირმა 1000 მანეთით დააჯილდოვა. მასვე გადაეცა „ივერთბანკის" მიერ დაწესებული 1000 მანეთიანი აქცია: შეჯიბრების მონაწილეებს საუკეთესო დასვენების პირობები შეუქმნა ტურისტულმა სასტუმრო „ვაკემ".

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ ის სპორტული ჟინი და ბრძოლისუნარიანობა, რომელსაც ჩემპიონატის ყველა მონაწილე ავლენდა და რაოდენ დასანანი იყო, რომ ასეთ მრავალფეროვან და საინტერესო ღონისძიებას ასე ცოტა მაყურებელი დაესწრო...

ლევან ნიკოლეიშვილი

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая
газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ
სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, ~~6~~, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.